პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი | № 13 (10099) | კვირა, 16 იანვარი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

დღითიდღე ძლიერდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება (1-ლი გვერდი).

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტში. — საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა ფინელ მეცნიერს ფელიქს ივერსენს (1-ლი გვერდი).

ო. კარიშევი, ი. სტვოლინსკი. — რუსეთის პირველი რევოლუციის ისტორიულ ადგილებში (მე-2 გვერდი).

ა. ნინუა. — თბილისის ყველაზე ახალგაზრდა უბანი (მე-2 გვერდი).

განვდევნოთ საავჭრო ქსელიდან ულირსი მოხელეები (მე-3 გვერდი).

მკითხველები ახალი წიგნების შესახებ. — შენიშვნები პ. ლორიას რომანზე „მალაროებში“ (მე-3 გვერდი).

ი. მაზორი. — საერთაშორისო მიმოხილვა (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებები კოლმეურნეობებში

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების შესაბამისად 1954 სამეურნეო წლის დამთავრებასთან დაკავშირებით იანვარ-თებერვალში კოლმეურნეობებში გაიმართება კოლმეურნეთა საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებები. ამ კრებებზე განხილული იქნება კოლმეურნეობათა გამგეობებისა და სარევიზიო კომისიების ანგარიშები გასულ სამეურნეო წელს გაწეული მუშაობის შესახებ, მოეწყობა გამგეობების, სარევიზიო კომისიების და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების არჩევნები იქ, სადაც მათ შეუსრულდათ წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ვადა.

მიმდინარე წელს ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებები ეწყობა დიდი პოლიტიკური და სამეურნეო აღმავლობის პირობებში, როცა გაჩაღებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება.

გასული წელი პარტიისა და მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის მისაღწევად შემუშავებული პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლის პირველი წელი იყო.

საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენმა რესპუბლიკამ წარმატებით შეასრულა მარცვლეულის, ჩაის ნედლეულის, ყურძნის დამზადების გეგმები. გადამეტებით შესრულდა საშემოდგომო თესვისა და მზრალად ხვნის დავალებანი. 1953 წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა კოლმეურნეობების ფულადი შემოსავალი და განუყოფელი ფონდები. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ მახარაძის რაიონი, სადაც კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდები 1953 წელთან შედარებით 1954 წელს ოცი მილიონი მანეთით გადიდდა. ახლა კოლმეურნეობებში 18 მილიონერი ბრიგადაა.

თეთრი წყაროს რაიონის სოფელ კოდის კოლმეურნეობაში შარშან მარცვლეულის უხვი მოსავალი მოიყვანეს, მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 17,1 ცენტნერი ხორბალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 13 ცენტნერისა, წარმატებით შეასრულეს პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის გეგმები, კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა 1.100.000 მანეთს გადააჭარბა. რესპუბლიკაში ათობით არის ისეთი კოლმეურნეობა, სადაც ფულადი შემოსავალი 5-10 მილიონ მანეთს შეადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ გაძლიერდა საკოლმეურნეო წარმოების ეკონომიკა, წლითიწლობით მაღლდება კოლმეურნეთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობა. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია ითქვას, რომ ქობულეთის რაიონის ბობოყვათის კოლმეურნეობაში შარშანდელმა ფულადმა შემოსავალმა 6,6 მილიონ მანეთს მიაღწია. თვითეულ შრომადღეზე ავანსად გასცეს 35 მანეთი და 4,7 კილოგრამი მარცვლეული.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, მტს-ების ხელმძღვანელთა გადაუდებელი ამოცანაა საუკეთესოდ მოამზადონ და ჩაატარონ საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებები კოლმეურნეობებში. პარტია გვასწავლის, რომ სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობა პირველ რიგში დამოკიდებულია კოლმეურნეობათა პოლიტიკურ, სამეურნეო-ორგანიზაციულ განმტკიცებაზე, კოლმეურნეობათა უზრუნველყოფაზე გამოცდილი, საქმის მცოდნე კადრებით, რომლებსაც შეეძლებათ სწორად, უნარიანად უხელმძღვანელონ მსხვილ საზოგადოებრივ მეურნეობას.

აქედან გამომდინარეობს ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ამოცანა — საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებების პერიოდში შემდგომ განვამტკიცოთ კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა შემადგენლობა, ამ პოსტებზე წამოვაყენოთ პოლიტიკურად შემოწმებული, საქმიანი, ინიციატივიანი, უმაღლესი და საშუალო სასოფლო-სამეურნეო განათლების მქონე სპეციალისტები, გამოჩენილი პრაქტიკოსი ორგანიზატორები. პარტიულმა ორგანიზაციებმა სპეციალისტთაგან და პრაქტიკოს მუშაკთაგან უნდა შეარჩიონ კადრები კოლმეურნეობათა უუნარო, სუსტი თავმჯდომარეების შესაცვლელად და სათანადო რჩევა მისცენ კოლმეურნეებს.

კოლმეურნეთა კრებების მომზადებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ვალდებული არიან სათანადოდ, მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩაატარონ კრებები, მთავარი ყურადღება მიაქციონ იმას, რომ კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის ნიშნით მოაწყონ ნაკლოვანებათა მხილება, არსებული, გამოუყენებელი რეზერვების გამოვლინება, შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მაღალი მოსავლის მიღების და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრად გადიდების უზრუნველსაყოფად.

საჭიროა თვითეული კრება ჩატარდეს საქმიან ვითარებაში, პარადულობისა და ხმაურის გარეშე განვიხილოთ სასოფლო-სამეურნეო არტელის საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდისა და განმტკიცების საკითხები. კრებებზე ლაპარაკი უნდა იყოს იმაზე, თუ როგორ გამოვაზამთროთ პირუტყვი, უზრუნველყოფილია თუ არა იგი კეთილმოწყობილი, თბილი ბინებით, საკვებით, სწორად მოწყობილია თუ არა საკვების აღრიცხვა, შენახვა. უნდა გამოვამჟღავნოთ ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებანი და დავსახოთ მათი სწრაფად გამოსწორების გზები.

შემდეგ, კოლმეურნეთა კრებებზე ლაპარაკი უნდა იყოს იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს საგაზაფხულო თესვისათვის მზადება (მანქანა-იარაღების რემონტი, თესლის მომზადება), როგორ გავაუმჯობესოთ შრომის ორგანიზაცია კოლმეურნეობაში, კოლმეურნეთა აგროზოოტექნიკური სწავლება, როგორ განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა და გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება. სერიოზული ყურადღება უნდა დავუთმოთ იმას, თუ როგორ ინერგება წარმოებაში მეცნიერების მიღწევები, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა მდიდარი გამოცდილება, შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, როგორ ხორციელდება მოსავლიანობის გადიდების პროგრესული ღონისძიებანი.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ვალია უზრუნველყონ ხელმძღვანელ მუშაკთა და მტს-ების სპეციალისტების მონაწილეობა საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე. ამ კრებებზე მტს-ის მუშაკებმა კოლმეურნეებს უნდა მოახსენონ სახელმწიფოს ვალდებულებათა შესრულების მდგომარეობა, მიღებულ უნდა იქნას კონკრეტული ღონისძიება მტს-ის მუშაობის უკეთესად მოწყობისათვის, მექანიზაციის ფართოდ დანერგვისათვის.

კოლმეურნეობებში საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებები უნდა დამთავრდეს მიმდინარე წლის 20 თებერვლისათვის. მნიშვნელოვანია არა მარტო ის, რომ კარგად მოვამზადოთ და ჩავატაროთ კრებები, არამედ ისიც, რომ არავითარ შემთხვევაში არ გავიმეოროთ შარშანდელი შეცდომები, როცა ზოგან კრებები თებერვლის ბოლომდე გრძელდებოდა.

პასუხსაგები ამოცანები დგას ჩვენი პრესის — საოლქო და რაიონული გაზეთების წინაშე. გაზეთებმა ფართოდ უნდა გააშუქონ საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებების მომზადებისა და ჩატარების საკითხები, უჩვენონ მოწინავე კოლმეურნეობათა მუშაობის გამოცდილება, მკაცრად გააკრიტიკონ კოლმეურნეობათა ნაკლოვანებანი, გააშუქონ ჩამორჩენის მიზეზები, ამხილონ საკოლმეურნეო დემოკრატიის დარღვევის შემთხვევები.

საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებები ჩავატაროთ კოლმეურნეობათა შემდგომი პოლიტიკურ-სამეურნეო და ორგანიზაციული განმტკიცების ნიშნით, ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა მოწინავეთა დონემდე აყვანის ნიშნით. მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის ახალ, მძლავრ აღმავლობას!

ჯუნგოს ნაყოფის დამზადების გეგმის შესრულება

მახარაძის რაიონმა ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულა 1954 წლის მოსავლის ტუნგოს ნაყოფის დამზადების სახელმწიფო გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა 26,7 ტონით მეტი ტუნგოს ნაყოფი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

ჩოხატაურის რაიონში ტუნგოს ნაყოფის დამზადების გეგმა შესრულებულია 104,7 პროცენტით.

წალენჯიხის რაიონმა 1954 წლის მოსავლის ტუნგოს ნაყოფის დამზადების სახელმწიფო გეგმა გაანაღდა 102,1 პროცენტით.

წულუკიძის რაიონში ტუნგოს ნაყოფის დამზადების გეგმა შესრულებულია 248 პროცენტით.

დღითიდღე ძლიერდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება

თბილისი. მეხუთე სპეციალური სახელოსნო სასწავლებლის შენობაში მოთავსებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების პისარევის 25-ე საარჩევნო ოლქი, აგრეთვე მე-40 და 41-ე საარჩევნო უბნები. სურათზე: 1. მეხუთე სახელოსნო სასწავლებლის შენობის გაფორმებული შესასვლელი. 2. 41-ე საარჩევნო უბნის აგიტპუნქტში. წინა პლანზე — ახალგაზრდა ამომრჩეველი ვ. მახათაძე აფორმებს კედლის გაზეთ „ამომრჩეველთა ხმას“.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

აგიტატორებმა მუშაობა გააჩაღეს

ქუთაისი. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებში ფართოდ გაჩაღდა საარჩევნო კამპანია. სოფელ ოფშკვითის კოლმეურნეობის სახელობის კოლმეურნეობაში 31 აგიტატორი განუმარტავს მშრომელებს საბჭოთა საარჩევნო სისტემის დემოკრატიულ პრინციპებს. აგიტატორები თ. სვანაძე, პ. ინანიშვილი, ნ. ბალანჩივაძე, გ. კეპულაძე, ს. დეისაძე, ე. მეკვია და სხვ. სისტემატურად ესაუბრებიან ამომრჩევლებს სსრ კავშირის კონსტიტუციით საბჭოთა მოქალაქეებისათვის მინიჭებულ დიად უფლებებზე. განსაკუთრებით კარგად მუშაობს ნ. ბალანჩივაძე, რომელსაც გუმათპესის მშენებლობაზე იცნობენ როგორც აქტიურ საზოგადოებრივ მუშაკს. არჩევნებისათვის მზადების დღეებში მას აგიტატორობა მიანდეს. იგი დიდი ენერგიით შეუდგა ამ საპატიო მოვალეობის შესრულებას.

პარტიის რაიონულ კომიტეტში შემუშავებული თემატიკის მიხედვით კოლმეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებში სისტემატურად ეწყობა კვალიფიციური ლექციები და მოხსენებები.

ერთ აგიტპუნქტში

თბილისის კიროვის რაიონის 23-ე საარჩევნო უბნის აგიტპუნქტში ყოველდღიურად მოდიან ამომრჩევლები, კითხულობენ ყურნალ-გაზეთებს, საარჩევნო ლიტერატურას, ისმენენ საუბრებს, იღებენ პასუხს მათთვის საინტერესო საკითხებზე. აგიტპუნქტი უზრუნველყოფილია საჭირო ლიტერატურით, თვალსაჩინოებით. აქ არის რადიო, ტელეფონი, გამოუშვეს პირველი ნომერი კედლის გაზეთისა „ამომრჩევლის ხმა“.

აგიტპუნქტის 36 აგიტატორი სისტემატურად მართავს საუბრებს მოსახლეობაში, მშრომელებს განუმარტავს საარჩევნო კანონს, საბჭოთა კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს, საბჭოთა კავშირის მოქალაქის უფლება-მოვალეობას, ჩვენი ქვეყნის სამშვიდობო პოლიტიკას, სახალხო მეურნეობის წარმატებებს და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებებს ხალხის მატერიალური და კულტურული მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

ამომრჩეველთა შორის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა აგიტატორმა, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ეკონომისტმა ა. გურგენიძემ. იგი 10 წელზე მეტია, რაც აგიტატორის საპატიო მოვალეობას ასრულებს. ყელაიბოვის ქუჩის № 20-22 სახლებში მცხოვრები დიასახლისები ყოველთვის დიდი კმაყოფილებით ხვდებიან მას. აგიტატორი მათ უამბობს კვირის განმავლობაში მომხდარ ახალ ამბებს. ამ დღეებში მან დიასახლისებს მოუთხრო მომავალ არჩევნებზე, ხალხთა ბრძოლაზე მშვიდობისათვის, ჩვენი ხალხის თავდადებულ შრომაზე მეხუთე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

მრავალი წლის მანძილზე ყელაიბოვის ქუჩის № 21-23 სახლების დიასახლისთა საყვარელი სტუმარია ლ. შონია. იგი საინტერესოდ, ცოცხლად ესაუბრება დიასახლისებს, უამბობს, თუ როგორ ძლიერდება მშვიდობის ბანაკი, რომელსაც სათავეში უდგას დიდი საბჭოთა კავშირი. აგიტატორი საუბარში კარგად იყენებს დიაგრამებსა და რუკებს, საუბარს მოხდენილად უკავშირებს ჩვენი ქვეყნის წარმატებებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

შინაარსიან და მიმზიდველ საუბრებს ატარებენ მოსახლეობაში აგიტპუნქტორები გ. თუმანიანი, შ. სულაძე, ე. ჩიქვინიძე, ლ. გაგუა და სხვები. აგიტატორები ხშირად აწყობენ დიასახლისების კოლექტიურ დასწრებას ლექციებზე, მოხსენებებზე, კინოფილმებსა და სპექტაკლებზე, ექსკურსიებს თბილისის ისტორიულ ადგილებში.

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტში

საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა ფინელ მეცნიერს ფელიქს ივერსენს

მიმდინარე წლის 14 იანვარს კრემლის სვერდლოვის დარბაზში საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა ფინელ მეცნიერს „ფინეთის მშვიდობის განმზადებლების ორგანიზაციის ვიცე-თავმჯდომარეს, ჰელსინკის უნივერსიტეტის პროფესორს ფელიქს ივერსენს. აქ შეიკრიბნენ თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერები, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების მეცნიერი მუშაკები, მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები და მასწავლებლები, დედაქალაქის საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საწარმოთა კოლექტივების წარმომადგენლები, მოსკოვის ოლქის კოლმეურნეთა—სოციალისტური შრომის გმირთა ჯგუფი.

ფელიქს ივერსენი

პრემიის გადაცემის ცერემონიას დაესწრო ფინეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ო. გარტი.

კომიტეტის წევრმა მწერალმა ა. ა. ფადეევმა ფელიქს ივერსენს მშვიდობის სტალინური პრემია გადასცა, და მიესალმა მას, როგორც ფინეთის მშვიდობის მომხრეთა თვალსაჩინო ხელმძღვანელს, მშვიდობის დაცვისათვის საერთაშორისო მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს.

ლაურეატს გულთბილი სიტყვებით მიმართეს მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანმა აკადემიკოსმა ა. ნ. კოლმოგოროვმა, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ს. ტიხონოვმა, პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ა. ი. მარკუშევიჩმა, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის წევრმა პროფესორმა პ. ი. კოჩინამ, კომპოზიტორმა ი. ა. შაპორინმა. მათ მაღალი შეფასება მისცეს მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლის ფელიქს ივერსენის დამსახურებას. მათ ილაპარაკეს აგრეთვე იმაზე, თუ რა მეგობრული გრძნობით არიან გამსჭვალული საბჭოთა ადამიანები ფინელი ხალხისადმი, ამასთან გამოთქვეს რწმენა, რომ საბჭოთა და ფინელი ხალხების მეგობრობა და ურთიერთგაგება კვლავაც განვითარდება და განმტკიცდება.

საპასუხო სიტყვაში, რომლის დროსაც არაერთხელ გაისმა დამსწრეთა ტაში, საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატმა ფელიქს ივერსენმა თქვა:

— ჩემთვის ცნობილ ვერც ერთ ენაზე ვერ გამოვხატავ მადლობისა და მოწიწების უდიდეს გრძნობას იმ პატივისათვის, რაც მე დამდეთ. ამ გრძნობამ მთელი არსებით შემიპყრო. შემიძლია მხოლოდ ვთქვა უბრალო სიტყვა — გმადლობთ, და ვეცადო მუშაობით დავამტკიცო ჩემი მისწრაფება — გავხდე ამ დიდი პატივის ღირსი. კარგად ვიცი, — განაგრძო ივერსენმა, — რომ მე აქ ჩემი ხალხის, ჩემი ქვეყნის წარმომადგენელი ვარ და აქ ვიმყოფები, რათა მივიღო აღიარების ნიშანი, რომელიც კუთვნის ჩემს ხალხს იმ მუშაობისათვის, რაც მან მშვიდობის სასარგებლოდ გასწია. ვიცი, რომ ათასობით ფინელი მშვიდობის მეგობრის ფიქრი და კეთილი სურვილი ამჟამადაც ჩემთან არის აქ, და ჩემი საპატიო ამოცანაა გადმოგცეთ მათი გულითადი სალამი. (საკდესი).

რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავისათვის

ესტონეთის სსრ

ტალინი, 13 იანვარი. (საკდესი). დღეს ესტონეთის სსრ ფ. რ. კრეიცვალდის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში გაიხსნა რუსეთის 1905-1907 წლების პირველი რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა. იგი იწყება განყოფილებით „მარქსიზმ-ლენინიზმი რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ხასიათის, განვითარებისა და მამოძრავებელი ძალების შესახებ“. წარმოდგენილია აგრეთვე მასალები რუსეთის ეროვნულ რაიონებში 1905-1907 წლების რევოლუციის მიმდინარეობის შესახებ და სხვ. მხატვრული ლიტერატურის განყოფილებაში წარმოდგენილია რუსეთის პირველი რევოლუციისადმი მიძღვნილი წიგნები ესტონურ და რუსულ ენებზე.

საწარმოებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში, აგიტპუნქტებში იმართება ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი საუბრები. ესტონეთის სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მოამზადა ლექციები შემდეგ თემებზე: „რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუცია“, „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მესამე ყრილობა და მისი ისტორიული მნიშვნელობა“ და სხვ.

გამოსაცემად მზადდება დოკუმენტების კრებული ესტონეთში 1905-1907 წლების რევოლუციის შესახებ. გათვალისწინებულია კრებულში გამოქვეყნდეს ესტონეთის თითქმის 400 სხვადასხვა არქივში აღმოჩენილი დოკუმენტები.

ესტონეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის მუზეუმი ამზადებს რუსეთის პირველი რევოლუციისადმი მიძღვნილ მოძრავ გამოფენას.

საქართველოს სსრ

თბილისი, 15 იანვარი. რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას მიმდინარე წელს ნავარაუდევი აქვს განახორციელოს მთელი რიგი ღონისძიებანი.

თბილისში გაიმართება საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სს რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებების გაერთიანებული სამეცნიერო სესია. სესიაზე წაკითხულ იქნება მოხსენებები თემებზე: 1905 წლის რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობა; ბოლშევიკური პარტია — მშრომელთა მასების რევოლუციური ბრძოლის ხელმძღვანელი; მუშათა და გლეხთა მოძრაობა 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში ამიერკავკასიაში; რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი ამიერკავკასიის მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის სათავეში 1905-1907 წლების რევოლუციის დღეებში; ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ბრძოლა მშრომელთა ინტერნაციონალური ერთიანობისათვის; ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ბოლშევიკური პრესა 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში; 1905-1907 წლების რევოლუციის ასახვა ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ლიტერატურაში და სხვ. — სულ 20 მოხსენება.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალთან და სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად გამოსცემს 1905 წლის რევოლუციისადმი მიძღვნილი წერილების კრებულს. მომზადდება და გამოიცემა ბროშურები ამ თარიღთან დაკავშირებით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შესაბამის ინსტიტუტებში დამუშავდება სამეცნიერო-კვლევითი თემატიკა, მიძღვნილი 1905 წლის რევოლუციისადმი.

კარლ მარქსის „კაპიტალის“ მეორე ტომი ჩეხურ ენაზე

პრაღა, 13 იანვარი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ამ დღეებში პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ჩეხურ ენაზე გამოუშვა კარლ მარქსის „კაპიტალის“ მეორე ტომი. გამოცემის ტირაჟია 100 ათასი ცალი.

რუსეთის პირველი რევოლუციის ისტორიულ ადგილებში

სრულდება 50 წელი მას შემდეგ, რაც ცარიზმმა ჩაიდინა საშინელი დანაშაული, რომელიც ისტორიაში ცნობილია „1905 წლის 9 (22) იანვრის სისხლიანი კვირის“ სახელით. მეფესთან პეტიციით მიმავალი მშვიდობიანი მუშათა დემონსტრაციის მასობრივმა დახვრეტამ ააზვირთა ხალხის აღშფოთება — რუსეთში დაიწყო რევოლუცია.

რუსეთის პირველი რევოლუცია... მისი დაწყება განუყრელად დაკავშირებულია პეტერბურგთან, ახლანდელ ლენინგრადთან. სწორედ აქედან, მეფის ყოფილი სატახტო ქალაქიდან, — ს. მ. კიროვის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, — „აგორდა მუშათა კლასის ძლევამოსილი დიქტატურის პირველი ტალღები“.

1. ვეტერანები მოგვითხრობენ...

ლენინგრადელები, როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, წმიდად ინახავენ იმ ისტორიული ამბების ხსოვნას, რომლებიც 50 წლის წინათ მოხდა მათს ქალაქში. ამ ამბების ხსოვნას უკვდავყოფს სახელწოდებები: გაფიცვების მოედანი და პროსპექტი, 9 იანვრის ბაღი და სხვ. ლენინგრადში არის ვეტერანი საწარმოები, რომლებიც მტკიცედ შევიდნენ რევოლუციის მატიანეში. ასეთებია: ყოფილი სემიანიკოვის ქარხანა, ახლა ლენინის სახელობის ნევის მანქანათმშენებელი ქარხანა, ყოფილი პუტილოვის ქარხანა, ახლა კიროვის სახელობის ქარხანა, და სხვები. ბოლოს, ლენინგრადში ახლაც ცოცხლობენ ადამიანები, უხუცესი კომუნისტები, 1905 წლის რევოლუციის საბარიკადო ბრძოლების მონაწილენი, რომლებიც საყოველთაო პატივისცემით სარგებლობენ.

ამ დღეებში საწარმოთა წითელ კუთხეებში, აგიტპუნქტებში ეწყობა მშრომელთა შეხვედრები ჩვენი ხალხისათვის ცნობილი ისტორიული ამბების მომსწრე და მონაწილე ადამიანებთან.

ისინი მშრომელებს მოუთხრობენ გაფიცვებზე, პოლიტიკურ გამოსვლებზე და მუშათა დემონსტრაციებზე, რომლებიც გამოხატავდნენ რევოლუციური მოძრაობის მძლავრ აღმავლობას ჩვენს ქვეყანაში და, განსაკუთრებით, სატახტო ქალაქ პეტერბურგში.

რევოლუციის ამ ვეტერანთა ნაამბობის მოსმენისას მსმენელთა წინაშე ცოცხლდებიან ჩვენი სამშობლოს მუშათა კლასის სახელოვანი განმათავისუფლებელი ბრძოლის შესანიშნავი ეპიზოდები.

ერთ-ერთ პროსპექტს ლენინგრადში კონდრატიევის პროსპექტი ეწოდება. ჭაბუკი გმირი საშა კონდრატიევი — პირველი კომკავშირული უჯრედების ორგანიზატორი, იმ პოლკის უმცროსი კომისარი იყო, რომელიც სამოქალაქო ომში იბრძოდა. საშა კონდრატიევის მამა, 1905 წლის რევოლუციის მონაწილე, პიტერის ძველი მუშა ა. ვ. კონდრატიევი ამას წინათ მაქსიმ გორკის სახელობის კულტურის სასახლეში ახალგაზრდობის დიდ საღამოზე გამოვიდა მოგონებით.

— ახლოვდება სახელოვანი წლისთავი — რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავი, — ასე დაიწყო თავისი გამოსვლა ა. ვ. კონდრატიევმა. — მე წილად მხვდა ამ რევოლუციის მონაწილე ვყოფილიყავი.

მღელვარებით ისმენდნენ ახალგაზრდა ლენინგრადელები ვეტერანის ნაამბობს. მათ თვალწინ წარმოუდგათ დაუვიწყარ დღეთა ამბები...

— პუტილოვის (ახლანდელ კიროვის სახელობის) ქარხანაში იანვრის პირველ რიცხვებში დაწყებულმა გაფიცვამ მოიცვა მეფის სატახტო ქალაქის ყველა საწარმო და მალე საყოველთაო გაფიცვად იქცა. პეტერბურგის მუშათა კლასი აღსდგა თავისი უფლებებისათვის საბრძოლველად.

1905 წლის 9 იანვარს ყველა მუშათა გარეუბნიდან ზამთრის სასახლისაკენ დაიძრა მშრომელი ხალხი. ვიბორგის რაიონის კოლონას რომ დავწეოდით, მე და კიდევ რამდენიმე კაცი გავყევით პირდაპირ ნევის ყინულს ტროიცკის (ახლანდელ კიროვის) ხიდისაკენ. ხიდთან შევხვდით შეიარაღებულ ჯარისკაცებს. ვხედავდით, როგორ მოემართებოდა მათკენ მშვიდობიანი პროცესია. ჯარების ჯგუფს უეცრად გამოეყო ცხენოსანი ოფიცერი. იგი უშვერად იგინებოდა და ერეკებოდა ხალხს. შემდეგ ატყდა სროლა. კაზაკებმა ი?ბშვილს ხმლები და შეიჭრნენ ხალხში. გაისმა ნაცემი, გასისხლიანებული ადამიანების ყვირილი. მუშები გაიფანტნენ. მე აღმოვჩნდი იმ მუშების ჯგუფში, რომლებიც სასახლის მოედნისაკენ გარბოდნენ.

აქ თავს იყრიდნენ მშრომელთა მასები. ბევრს ბავშვებიც წამოეყვანა. და აქაც ყველას ჯარმა გადაუღობა გზა. გაისმა საყვირის ხმა. ყინვიან ჰაერში ზალპმა იგრიალა. პირველად ვიფიქრე, რომ ჰაერში ისროდნენ, მაგრამ მალე დავინახე, როგორ ეცემოდნენ ტყვიით განგმირული ადამიანები. ისევე როგორც ხიდთან, აქაც ხალხში კაზაკები შეიჭრნენ.

ამ დღეს მშრომელები მიხვდნენ, რომ მეფე, ბურჟუაზია და მემამულეები ხალხის დაღეძინებელი მტრები არიან. 9 იანვარი მრისხანე სკოლა იყო მრავალი მუშისათვის და მათ შორის ჩემთვისაც. მე შევიგნე, რომ ცარიზმთან ბრძოლა საჭიროა იარაღით ხელში, საჭიროა ულმობელი ბრძოლა.

— ახლა მე მეოთხმოცე წელში ვარ, — დაამთავრა თავისი სიტყვა ა. ვ. კონდრატიევმა. — სიხარულით შევყურებ ჩვენს ბედნიერ, ნათელ ცხოვრებას. ხალხმა იგი თავისი ხელით შექმნა. იგი კიდევ უფრო უკეთეს მომავალს შექმნის.

იმ დაუვიწყარი ამბების შესახებ ბევრ რამეს ჰყვება მეორე მოხუცი მუშა ისიდორე ილიას-ძე პეტროვი. იგი 17 წლისა იყო, როდესაც არაკეთილსაიმედოთა „შავ სიაში“ აღმოჩნდა, ეს იყო 1897 წელს. ჭაბუკმა ძლივს მოახერხა შეგირდად მოწყობა ლურსმნის ქარხანაში, რომელიც ვასილის კუნძულის ირიბ ხაზზე მდებარეობს. ახლა მას ეწოდება მოლოტოვის სახელობის ფოლადსაგლინავი და მავთულ-ბაგირის ქარხანა, სადაც პეტროვი ამჟამადაც მუშაობს.

მაშინ მას ძალაუნებურად უხდებოდა ხშირად „შეეწყვიტა“ მუშაობა. მდგომარეობა აუტანელი იყო, იგონებს პეტროვი. მშფოთვარედ იწყებოდა ახალი საუკუნე. სიტყვა „გაფიცვა“ გასაგები და ჩვეულებრივი გახდა. დღითიდღე სულ დაძაბული ხდებოდა ატმოსფერო.

ერთხელ 1904 წელს გვიან შემოდგომაზე პეტროვს შემთხვევა ჰქონდა მოესმინა გაპონისათვის. ხუცესი მუშებს ჩასჩჩინებდა: „ალიჭურვეთ მოთმინებით... მეფე გულმოწყალეა. შევეხვეწოთ მას, არ დაგვტოვებს უყურადღებოდ“.

გაპონი წინადადებას იძლეოდა ყველანი მშვიდობიანად წასულიყვნენ სასახლისაკენ, ეთხოვათ მეფისათვის მოწყალება... პეტროვი, ისევე როგორც ბევრი სხვა, ყოყმანობდა, წასულიყო თუ არა. მისი მეგობარი ზეინკალი აღნიშნავდა:

— იცი, რა გითხრათ, ბოლშევიკები ამბობენ: არ დაუჯეროთ გაპონს, ეგ მოგატყუებთ, მეფე კი ტყვიებით გაგიმასპინძლდებათო.

მაგრამ მაინც გადავწყვიტეთ: წავიდეთ, ვნახოთ, იქნებ არაფერი მოხდესო...

იმ დაუვიწყარ კვირას დილიდანვე მკაცრი ყინვა იყო. თავმოყრილ ხალხში აქა-იქ მოისმოდა შეძახილები:

— პუტილოველები პირველნი წავიდნენ...

— რატომ არიან ქუჩებში შაშხანებიანი მთვრალი ჯარისკაცები?

— ამხანაგებო, არ წახვიდეთ, ჯარისკაცები სროლას ატეხენ.

მართლაც, როდესაც ყინულთ აღექსანდრეს ბაღთან გადავედით, ბევრს უკვე გარკვევით მოგვესმა სროლა. უეცრად ხალხი უკან მოაწყდა:

— კაზაკები!

ცხენოსანი კაზაკები შიშველი ხმლებით შეიჭრნენ ხალხში. მხარში ძლიერმა დარტყმამ პეტროვი ძირს დასცა. სამი კვირის განმავლობაში გონს ვერ მოსულიყო იგი, ამხანაგების მიერ სხვის სარდაფში დამალული.

ასე მიიღო მაშინ ისიდორე ილიას-ძე პეტროვმა მეფის „მოწყალების“ საგულისხმო გაკვეთილი.

2. სახელოვანი რევოლუციური ტრადიციები

ლენინგრადი სახელოვანი რევოლუციური ტრადიციების ქალაქია. სწორედ აქ ჩამოყალიბდა მუშათა პირველი მარქსისტული წრეები, წარმოიშვა ლენინური „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“. „ათეულ და ასეულ ათასობით პეტროგრადელი მუშა პირველად გაჰყვა ცეცხლში ამხანაგ ლენინს და მათ შექმნეს იმ არმიის პირველი რკინის რაზმები, რომლითაც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა დაამარცხა ბურჟუაზია“, — ნათქვამია საბჭოების მეორე ყრილობის 1924 წლის 26 იანვრის დადგენილებაში პეტროგრადისათვის ლენინგრადად დარქმევის შესახებ.

ახალი ბედნიერი ცხოვრება დამკვიდრდა იმ ადგილებში, სადაც ნახევარი საუკუნის წინათ ბარიკადები იყო აღმართული.

გადავხედოთ დღეს ნარვის კარისიქითა უბანს. რევოლუციამდე იგი დიდი კაპიტალისტური ქალაქის ტიპიური გარეუბანი იყო, უფრო ბინძური, უფრო ღატაკი და უბადრუკი. ვიდრე პეტერბურგის სხვა უბნები. ამასთან ერთად ნარვის უბანი შესანიშნავია იმით, რომ აქ მუშებმა პირველად სცადეს ბრძოლა ექსპლოატაციის, მონობისა და უუფლებობის წინააღმდეგ. რომ სწორედ აქაური მოწრინავე მუშებისაგან დიდმა ლენინმა შექმნა მომავალი რევოლუციური პარტიის პირველი უჯრედები. მოვარდისფრო გრანიტის კოლონადას აგვირგვინებს ოთხი ორდენის გამოხატულება. ქონგურში მოჩანს დიდი ასო „კ“. ეს არის საბჭოთა მანქანათმშენებლობის ერთ-ერთი გიგანტის — სახელმოხვეჭილი კიროვის სახელობის ქარხნის, ყოფილი პუტილოვის ქარხნის, ალაყაფის კარი. პირველ საბჭოთა ტრაქტორებს, მოტორებს, კომბაინებისათვის მოტოსაზიდრებს, საწევრებს, ტურბინებს, მუხლუხა ტრაქტორებს, ორთქმავლებს, გვირაბსათხრელ ფარებს მოსკოვის მეტროსათვის და მრავალ სხვა საუკეთესო მანქანას „კრასნი პუტილოველის“ მარკა ჰქონდა. ეს არის არა მარტო სამრეწველო საწარმო, არამედ ქარხანა-ლაბორატორია, ქარხანა-აკადემია.

ვეებერთელა ტერიტორიაზე გაბართულია განიერი საამქროები, აღჭურვილნი უახლესი მოწყობილობით. ძველი მოწყობილობიდან საწარმოში დარჩა მხოლოდ ერთი ჩარხი, რომელზეც გასული საუკუნის ბოლოს მუშაობდა ახალგაზრდა ხარატი მიხეილ ივანეს-ძე კალინინი...

როდესაც გაფიცვების პროსპექტის კრიალა ასფალტზე მიდიხართ და ჩაუვლით ცადატყორცნილ ლამაზ სახლებს, ძნელი წარმოსადგენია ის, თუ რა იყო აქ ნახევარი საუკუნის წინათ. ძნელი წარმოსადგენია 1905 წლის დროინდელი ნარვის უბანი, როდესაც პუტილოვის ქარხნის საამქროებში იჭედებოდა ხალხის მძლავრი ძალა. პუტილოვის ქარხანას „მეამბოხე ქარხანა“ შეარქვეს გასული საუკუნის თითქმის შუა ხანებიდან.

შესანიშნავი მუშების — პუტილოველების შრომას ფასი არ ჰქონდა. ხისდამმუშავებელი საამქროს ოსტატი ტეტიაევკინი დირექტორის მიმართვით ხშირად იტყოდა ხოლმე: „მაძღრისაღ არ ეაჭმევ, მაგრამ არც შიმშილით მოვკლავო“. 1904 წლის დეკემბერში მუშა სერგუნინს დააკლეს ხელფასი და იგი ტეტიაევკინთან მივიდა საქმის გასარკვევად. ოსტატმა მას დაუყვირა და დაითხოვა. რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ სამი მუშა დაითხოვეს.

3 იანვარს ზარბაზნის საამქროს და სხვა საამქროების მუშები მოედანზე ჩამწკრივდნენ. მოვიდა ქარხნის დირექტორი სმირნოვი, რომელმაც დაიყვირა:

— მე მეპატრონე ვარ და ამბოხების ნებას არ მოგცემთო.

მაშინ მუშებიდან ვიღაცამ დაიძახა:

— დირექტორს მარტო ტეტიაევკინი 12 ათას კაცს ურჩევნია, მაშინ ტეტიაევკინი დაიტოვოს და ერთად იმუშაოს.

საღამოს 8 საათისათვის მთელი ქარხანა გაჩერდა. პუტილოველთა დელეგატები წავიდნენ დედაქალაქის სხვა საწარმოებში. მუშობა შეწყვიტა სემიანიკოვის ქარხანამ და მთელმა რიგმა სხვა საწარმოებმა. ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს მხარი დაეჭირათ გაფიცვისათვის, და მალე გაიფიცა პეტროგრადის 400 საწარმო. 7 იანვარს გაფიცული იყო მთელი პეტერბურგი — 150 ათასამდე მუშა. სწორედ მაშინ ოხრანკის მითითებით გაპონმა მოაწყო გრანდიოზული პროვოკაცია — „მშვიდობიანი სვლა“ მეფისათვის „პეტიციის“ მისართმევად.

იმ დღეს იმ ადგილას, სადაც ახლა 9 იანვრის დიდი ბაღია, იყო საჩაიე „ძველი ტაშკენტი“, უდაბური ადგილები, ხის პატარა სახლები. აქ თავი მოიყარეს მუშებმა. ნარვის უბნის დიდ დემონსტრაციას წინ მიუძღოდნენ პუტილოველი ბოლშევიკები. ნარვის კართან მშვიდობიან მანიფესტაციას თავს დაესხნენ კაზაკები და სროლა აუტეხეს.

ახლა ყველფერი შეცვლილია გაფიცვების ახლანდელ მოედანზე ნარვის კართან. ამოვსებულია პატარა მდინარე ტარაკანოვკა, რომელიც 9 იანვრის დილით ერთმანეთისაგან ჰყოფდა ჯარსა და ხალხს. აგებულია მაქსიმ გორკის სახელობის კულტურის სასახლე, რომლის მაყურებელთა დარბაზი 2000 კაცს იტევს, და ქალაქის ერთ-ერთი უდიდესი უნივერმაღი, კიროვის სახელობის უნივერმაღი.

საქონელბრუნვის ზრდა ყველაზე მკაფიოდ მოწმობს საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ყოფილი განაპირა უბნის ეს უნივერსალური მაღაზია წლითიწლობით სულ უფრო და უფრო მეტ საქონელს ყიდის. ახლა იგი მყიდველებს თითქმის 25 ათასი სახელწოდების ნაწარმს აწვდის. ეს ხდება იქ, სადაც იდგა ვაჭრების უბადრუკი ფარდულები, რომლებიც ძირითადად სანთლებით, ძაფითა და დამპალი სატინით ვაჭრობდნენ!..

საღამოობით გაფიცვების მოედანზე ნაპირწკლებს აფრქევენ ელექტროშედუღების შადრევნები, შენდება მეტროს სადგურ „ნარვსკაიას“ მიწისზედა ვესტიბიული. თეთრი მარმარილოთი და ოქროს ფარაყით ირთვება მიწისქვეშა სასახლე. მისი არქიტექტურული მორთულობა მიძღვნილია ნარვის უბნის მუშათა კლასის ბრძოლისადმი მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

3. იქ, სადაც გარიკადები იყო

„სისხლიან კვირას“ უიარაღო ადამიანებს სროლა აუტეხეს არა მარტო ნარვის კართან, არამედ ქალაქის სხვა ადგილებშიც.

ბოლშევიკებმა, რომლებიც მუდამ ხალხთან, ქუჩებში იყვნენ, მუშებს იარაღისაკენ მოუწოდეს. მათს მოწოდებას ისინიც კი გამოეხმაურნენ, ვინც დილით მანიფესტაციაში წითელი ალმების წინააღმდეგი იყო.

— ძირს თვითმპყრობელობა! მეფემ დაგვცხო, და ჩვენც დავცხებთ მას! — ამბობდნენ მუშები.

9 იანვარს საღამოს გაჩნდა პირველი ბარიკადები. „...პეტერბურგს მტრის მიერ ახლად დაპყრობილი ქალაქის სახე ჰქონდა. ქუჩებში განუწყვეტლივ მიმოდიან კაზაკთა პატრულები. ყველგან მოჩანან აღელვებულ მუშათა ჯგუფები. საღამოს ბევრი ქუჩა წყვდებოდა. ელექტრობა და გაზი არ არის“, — ასე აწერდა ბოლშევიკური გაზეთი „ვპერიოდი“ მეფის სატახტო ქალაქის მაშინდელ სახეს.

ბარიკადები გაჩნდა ვასილის კუნძულზე — ქალაქის ერთ-ერთ უდიდეს რაიონში და სხვა ადგილებში.

ამას წინათ იმ სახლების კედლებს, რომლებთანაც ბარიკადები იდგა, გაუკეთეს მარმარილოს მემორიალური დაფები, რომლებიც საბჭოთა ადამიანებს მოაგონებენ ნახევარი საუკუნის წინათ მომხდარ ამბებს. ის ადგილები, სადაც რიყისქვის ქვაფენილები იყო, რომელთა ქვებიც მუშების იარაღს წარმოადგენდა, ახლა დფარულია კრიალა ასფალტით. სახე შეიცვალა ვასილის კუნძულის ყველა ქუჩამ და პროსპექტმა. მისი ცენტრალური მაგისტრალი — დიდი პროსპექტი რეკონსტრუქციის შემდეგ ზღვისაკენ მიმავალი გზა გახდა. აქ უხმაუროდ დაჰქრიან ავტობუსები და ტროლეიბუსები.

იქ, სადაც ოდესღაც ბაზა ჰქონდა რუსეთის გალერეების ფლოტს და უბადრუკ „შემოსავლიან“ სახლებში ბაკალერები, მატროსები, ხომალდების მოხელეები ცხოვრობდნენ, ახლა იქმნება დიდებული არქიტექტურული ანსამბლი — ლენინგრადის მომავალი საზღვაო ჭიშკრის წინაკარი. ზღვისაკენ მიმავალ გზას — დიდ პროსპექტს დაამთავრებს დიდი მოედანი, რომლის გარშემო მრავალსართულიანი სახლები აშენდება. ფინეთის უბის ნაპირზე აღიმართება საზღვაო ვაგზლის შენობა.

1905-1907 წლების ამბების ხსოვნას ინახავს ათობით სხვა ადგილი გმირ ქალაქში. ესენია ბალტიისა და ვარშავის ვაგზლები, სახლები ნევისა და სხვა მაგისტრალებზე. აი დიდი ხუთსართულიანი შენობა აჯანყებულ ქუჩაზე, № 20. ამ სახლში 1905 წლის 27 ოქტომბერს სხდომა ჰქონდა რსდმპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, წყდებოდა შეიარაღებული რაზმების შექმნის, იარაღის შეგროვების საკითხები.

ნევის პროსპექტისა და ფონტანკის კუთხეში 1905 წელს მოთავსებული იყო პირველი ლეგალური ბოლშევიკური გაზეთის „ნოვაია ჟიზნის“ რედაქცია. გაზეთი ბეჭდავდა ლენინის, გორკის, ოლმინსკის, ლუნაჩარსკის სტატიებს. მას მუშაკორესპონდენტების ფართო ქსელი ჰქონდა.

პეტრე პირველის თორმეტი კოლეგიის ყოფილ შენობაში, რომელიც უნივერსიტეტს ეკავა, იმართებოდა მუშებისა და რევოლუციური სტუდენტების მრავალი მიტინგი. 1905 წლის რევოლუციური ამბების ერთ-ერთი ცენტრი გახდა ადრეთვე ტექნოლოგიური ინსტიტუტი. აქ სწავლობდა და მუშაობდა ლენინის ზოგიერთი თანამებრძოლი „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირში“. 1905-1906 წლებში ინსტიტუტში იმყოფებოდა ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტისა და პეტერბურგის კომიტეტის სამდივნო.

ახლა ლენინგრადის საბჭოს სახელობის ტექნოლოგიური ინსტიტუტი ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების სამჭედლოა. სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის ინსტიტუტი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

მოედანი ინსტიტუტთან ქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი მოედანი გახდა. ახლა აქ ი. ბ. სტალინის სახელობის პროსპექტისა და ზაგოროდნის პროსპექტის კუთხეში აღიმართა დიდი მრავალსართულიანი შენობა — ლენინგრადის მეტროს მომავალი მიწისზედა ვესტიბიული და სამმართველო.

* * *

მძაფრად ვითარდებოდა ამბები ნევის კარს იქითაც. ეს რაიონი ნევის მარცხენა ნაპირას გადაჭიმულია თხუთმეტ კილომეტრზე. აქ ბევრი მსხვილი საწარმოა.

„სასხლიანი კვირის“ წინადღეს ოხრანკის აგენტი გაპონი ნოვოპროგონნის შესახვევის № 15 სახლის წინ „პეტიციას“ უკითხავდა თავმოყრილ მუშებს და აგროვებდა ხელმოწერას. 9 იანვარს ამ სახლთან შეკრება იწყეს მუშათა ჯგუფებმა ოჯახებიანად. მსვლელობას კაზაკები დახვდნენ შლისელბურგის სახანძრო ნაწილთან. დაიწყო მხეცური ჟლეტა. ხმლებისა და მათრახებისაგან თავი რომ ეხსნათ, მანიფესტანტები გაუმაგრებელ ყინულზე გარბოდნენ ნევის გაღმა...

მრავალრიცხოვანი მუშათა ბრძოლის ერთ-ერთი ციტადელი თავისი ისტორიის პირველი დღეებიდანვე სემიანიკოვის ქარხანა იყო. აქ გასული საუკუნის უკვე 70-იანი წლების დამდეგს მოეწყო მუშათა წრეები. აქ მუშაობდა ი. ვ. ბაბუშკინი, ვ. ი. ლენინის ერთ-ერთი მთავარი თანაშემწე „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირში“. 1895 წელს სემიანიკოვის ქარხანაში ვ. ი. ლენინმა მთელი რიგი საორგანიზაციო კრებები მოაწყო. 1901 წელს სემიანიკოველებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი საბარიკადო ბრძოლებში ობუხოველებს...

ყოფილი სემიანიკოვის — ამჟამად ლენინის სახელობის ნევის მანქანათმშენებელი ქარხანა საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი საწარმო გახდა. იგი უშვებს გიგანტურ ჰაერსაბერავებს მეტალურგიული მრეწველობისათვის, მოწყობილობას ნავთობის სარეწებისა და სოფლის მეურნეობისათვის.

* * *

ლენინგრადელები და ჩამოსულნი უდიდეს ინტერესს იჩენენ რუსეთის პირველ ნამდვილად სახალხო რევოლუციასთან დაკავშირებული ადგილებისადმი. ათასობით ადამიანი ეცნობა ამ დღეებში ქალაქის ღირსსახსოვარ ადგილებს, ისმენს ლექტორთა და ექსკურსიამძღოლთა ნაამბობს 1905-1907 წლების რევოლუციის შესახებ, რომელიც ჩვენი ქვეყნის განვითარებაში მთელი ისტორიული ხანა იყო, და რომელმაც პოლიტიკური აღზრდის მდიდარი სკოლა მისცა მუშებსა და გლეხებს, ცხადყო, რომ მხოლოდ მუშათა კლასი, კომუნისტური პარტიის მეთაურობით, შეიძლება იყოს რევოლუციის ბელადი.

რუსეთის პირველი რევოლუციის გაკვეთილებს ამაოდ არ ჩაუვლია. 1917 წლის ოქტომბერში ამ გაკვეთილებმა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება მოგვიტანა.

ო. კარიშევი.
ი. სტეოლინსკი.

„კომუნისტის“ კორესპონდენტები.

ქ. ლენინგრადი.

საბურთალო. დელიხის მიდამოები. ამ ცოტა ხნის წინათ ამ ადგილზე შიშველი მინდორი იყო.

ფოტო ვ. ზარიძისა.

თბილისის ყველაზე ახალგაზრდა უბანი

ისანსა თუ ნარიყალას, ჩუღურეთსა თუ სეიდაბადს, ვერას თუ კუკიას, თბილისის ყველა უბანს ძველი ისტორია აქვს. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით საბურთალოზე, რომელიც დღეს დედაქალაქის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხედ ქცეულა.

საბურთალოს არ ახსოვს ყიენობა, ჭრიანი და ყოჩების ჭიდილი, რადგან იგი მაშინ არ ყოფილა ქალაქის არც გარე და არც შორეული უბანი. „დიდმის ჯარი“ — ასე უწოდებდნენ ძველად თბილისიდან დაშორებულ ამ მივარდნილ სოფელს.

...დაგვალული ყანები, სიცხით გადაბუგული საძოვრები, ორიოდე სამეიტენი და ათიოდე ქოხი, — აი როგორი იყო წინათ საბურთალო.

ლენინის ქუჩაზე ტროლეიბუსი თავქვე რომ დაეშვება, გმირთა მოედანს შემოუვლის და ახალი მრავალსართულიანი შენობებით შემოზღუდული ფართო პროსპექტით საბურთალოსაკენ რომ გაემართება, წინათ ეს ქუჩა ვიწრო, ტალახიანი ბილიკი იყო. მაშინ აქ არც ცირკის ულამაზესი შენობა ჩანდა, არც ჩელუსკინელთა ქუჩა თავისი მონუმენტური ხიდით, არც თერთმეტსართულიანი სახლი და არც მის გასწვრივ აღმართული ვეებერთელა კორპუსები, არც ტროლეიბუსი იყო და არც ელექტრონი, მთვარე თუ გაანათებდა ღამღამობით ამ უბანს, ხოლო მთავარი სატრანსპორტო საშუალება ურმები და სახედართა ქარავანი იყო.

ახლა?

სულ მოკლე დროში, ჩვენ თვალწინ იცვალა სახე ამ უბანმა.

საბურთალო ხარაჩოებშია ჩამჯდარი. ყოველ ქუჩაზე, ყოველ მოსახვევში მაღალი კედლებია აღმართული და დგას კოშკურა ამწეები, ყველგან გაისმის სამშენებლო მექანიზმების ხმაური, ქუჩებში მიმოქრიან სამშენებლო მასალებით დატვირთული მანქანები, თვითსაცლელები, საბარგულები.

გმირთა მოედანს იქით აღმართულია ტრესტ „საქნავთის“ ადმინისტრაციული სახლი, ამავე ტრესტის მუშა-მოსამსახურეთა მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობა, მეტალურგიული ტექნიკუმი, სადაც ახალგაზრდები ეთოლებიან ფოლადის დნობის რთულ მეცნიერებას. იქვე, გვერდით, სწრაფი ტემპით აშენებენ ტექნიკუმის სტუდენტთა და მასწავლებელთათვის შვიდსართულიან საცხოვრებელ სახლს, რომელიც უახლოეს ხანში დამთავრდება.

ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის კორპუსები უფრო მეტ ეშხსა და იერს აძლევენ დედაქალაქის ამ უბანს. ინსტიტუტის მრავალრიცხოვან აუდიტორიებსა და სამეცნიერო ლაბორატორიებში გაჩაღებულია დიდი შემოქმედებითი მუშაობა.

საქართველოს სამხედრო გზის-ხელმარჯვნივ ეს-ეს არის ხარაჩოები ჩამოხსნეს კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მონუმენტურ კორპუსს. აქ მოთავსებულია ინსტიტუტის სამთო და ენერგეტიკული ფაკულტეტები. ეზოს კეთილმოწყობა ჯერ ვერ მოუსწრიათ, მაგრამ მალე აქ გაშენდება ლამაზი ხეივნები, გაზონები და სკვერები, მაღლა აიჭრებიან შადრევნები, აციმციმდებიან ლამპიონები და ეს ადგილი უფრო თვალწარმტაცი გახდება.

საბურთალოს მშვენებას წარმოადგენს მსოფლიო ფაუნით მდიდარი ზოოპარკი, ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი (ბაქტერიოფაგი), სამედიცინო ქალაქი და სხვ.

გასაოცარი ტემპით იზრდება საბურთალო — დედაქალაქის ეს ყველაზე ნორჩი უბანი. სწრაფად მზარდ მოსახლეობას მომსახურებას უწევენ საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, აფთიაქები და სავაჭროები, ბიბლიოთეკები და სხვა დაწესებულებანი, რომლებიც ამ ბოლო წლებში გაჩნდნენ ამ უბანში.

დიდი მშენებლობაა გაჩაღებული გარეუბნებშიც, გმირთა მოედნიდან დაწყებული დიღმამდე, აქეთ — დელისამდე, სამედიცინო ქალაქამდე, აგურის ქარხნამდე და თითქმის ლისის ტბამდე.

საბურთალოს მთელ შემოგარენზე, დიღმიდან მოკიდებული ვარაზის ხევამდე, განსაკუთრებით ვეძისას გორაკებზე ლამაზი კოტეჯების მთელი უბნებია გადაეშიმული. სულ რაღაც სამი-ოთხი წელია, რაც ეს უბნები გაჩნდნენ. ისინი მწვანეში არიან ჩაფლულნი. აქ ცხოვრობენ დედაქალაქის მუშა-მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკოსები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები და სხვა დარგის მოღვაწენი.

— ვამჩნოთ სწრაფად და აიფად, ვადამდე შეავასრულოთ მეხუთე ხუთწლედი! — მოუწოდებენ ხარაჩოებზე გაკრული ლოზუნგები.

აგურის მექანიკური ქარხანა, რომელიც ამ უბნის ერთ-ერთი დიდი საწარმოა, საუკეთესო მაჩვენებლებით შეხვდა ახალ სამეურნეო წელს. ქარხნის კოლექტივმა 1954 წელს მთელი რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები განახორციელა შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის. აქ წარმატებით დანერგეს აგურის წარმოების ნოვატორის, სტალინური პრემიის ლაურეატის დუვანოვის პროგრესული მეთოდი, რის შედეგად ქარხანამ შარშან გეგმის გადამეტებით გამოუშვა ორ მილიონ ცალზე მეტი აგური.

დიდი სამუშაოებია შესრულებული საბურთალოს ახალი ქუჩების კეთილმოწყობისათვის. ახლა ტროლეიბუსები და ავტობუსები დასრიალებენ საქართველოს სამხედრო გზაზე, ანაგის, პავლოვისა და ბელორუსის ქუჩებზე, სოფელ დიღმამდე, სპეციალისტების სახლამდე, სამედიცინო ქალაქამდე, აგურის ქარხნამდე, ლისის ტბამდე, დელისამდე.

ქუჩების კეთილმოწყობისათვის განსაკუთრებით ბევრი რამ გაკეთდა 1953 და 1954 წლებში. მოიკირწყლა და მოასფალტდა კომბაინის, იყალთოს, ბესარიბის, ბახტრიონის, ვიბორგის, ლენინის, დოლიძისა და პავლოვის ქუჩები.

წინათ გადატრუსული უბანი მწვანით შეიმოსა. ამ უკანასკნელ წლებში აქ მარტო ქალაქის გამწვანების ტრესტის ხაზით დაირგო 50.000-ზე მეტი ხე და ბუჩქი.

უფრო ლამაზი და წარმტაცი იქნება საბურთალო ახლო მომავალში. დედაქალაქის ამ რაიონში თავს მოიყრის თბილისის უმაღლესი სასწავლებლების დიდი ნაწილი. შენდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მონუმენტური შენობა მრავალრიცხოვანი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებითა და საცხოვრებელი კორპუსებით. მთავრდება ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის, საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროს, სარეწაო კოოპერაციისა და მრავალი სხვა უწყების მუშა-მოსამსახურეთა მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინების მშენებლობა. კომინტერნის პროსპექტზე ერთბაშად შენდება ხუთი ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი.

პავლოვის ქუჩაზე გაშენდება ლამაზი ტყე-პარკი, რომელიც ამ უბნის მცხოვრებთა საუკეთესო დასასვენებელი ადგილი იქნება. დელისში წარმოებს გრანდიოზული იპოდრომის მშენებლობა, რაზეც ათი მილიონი მანეთი დაიხარჯება. ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ლისის ტბის მიდამოების გამწვანება და კეთილმოწყობა.

კიდევ ერთი საჩუქარი მიიღეს გასულ წელს საბურთალოს უბნის ბავშვებმა. საექსპლოატაციოდ გადაეცა 8-წლიანი სკოლის ახალი შენობა. აშენდება საშუალო სკოლა და საბავშვო ბაღი, დამთავრდება აბანოს მშენებლობა და სხვ.

მჩქეფარეა საბურთალოს ცხოვრება. ათი ათასზე მეტი მოწაფე და სტუდენტი ჩაივლის ყოველ დილით მის ლამაზ ქუჩებზე. ხვალ კიდევ უფრო წარმტაცი და მშვენიერი იქნება ჩვენი დედაქალაქის ეს ყველაზე ახალგაზრდა უბანი.

ა. ნინუა.

განვდევნოთ სავაჭრო ქსელიდან უღირსი მუშაკები

საპატიო ამოცანა აკისრიათ ვაჭრობის მუშაკებს. მათი ვალია ყურადღებით და გულისხმიერად ეკიდებოდნენ მომხმარებელთა მოთხოვნილებებს, თავაზიანად და ზრდილობიანად ეპყრობოდნენ მყიდველებს, უანგაროდ, კულტურულად ემსახურებოდნენ მათ.

ამ მხრივ თბილისის სავაჭრო ქსელის ბევრი მუშაკის შრომა მისაბაძია. პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელებით ბევრმა სავაჭრო ორგანიზაციამ გარდაქმნა მუშაობა ახალი ამოცანების შესაბამისად. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი სავაჭრო დაწესებულების საქმიანობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

აი ამის დამადასტურებელი ფაქტებიც.

თბილისში ჩამოსულ მოქალაქეს სადგურის წინ შეუმჩნეველი არ დარჩება ლამაზად აგებული მრავალსართულიანი, კეთილმოწყობილი შენობა. ამ შენობის პირველ სართულში გახსნილია გასტრონომის საქართველოს კანტორის მაღაზია № 21 (დირექტორი კუდინიანი). აქ სხვადასხვა სექციაში მრავალი სახის საქონელი ლამაზად არის განლაგებული. როგორც ჩანს, მაღაზიის მუშაკებისათვის შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ კულტურულად მოვაჭრონ.

სამწუხაროდ, ამ შესაძლებლობას ზოგიერთი მუშაკი ბოროტად იყენებს. შემოწმებისას სექციის გამგეს ოქროპირიძეს საწყობში გადამალული აღმოაჩნდა ერბო. მასვე მაგიდის უჯრაში ჰქონდა 3.100 მანეთი, როდესაც მაღაზიაში 3 სალარო მუშაობს.

ამავე მაღაზიაში არ აღმოჩნდა ლორის ფასების მაჩვენებელი. ეს კი მაღაზიას ზოგიერთ მუშაკს მომხმარებლის მოტყუების საშუალებას აძლევს.

მარცხენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის № 107 მაღაზიაში, რომლის დირექტორია შ. ჯაფარიძე, ხშირად მომხმარებლებს არ აძლევენ ხურდა ფულს. მაგალითად, ამას წინათ მოლარემ ქ. წერეთელმა მომხმარებელს ა. ტარაჯაევს არ მისცა 70 კაპიკი ხურდა. ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არც მარჯვენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის № 22 მაღაზიაშია (დირექტორი დ. ყიფიანი, მოლარე ქ. კობიაშვილი).

თბილპურვაჭრობის № 106 მაღაზიაში პურის გამყიდველმა ჯ. ამიროვმა მომხმარებელს ორ კილოგრამ პურზე 40 გრამი დააკლო. ყველაფერი ეს მოხდა მაღაზიის გამგის ლ. ოსიპოვის თვალწინ.

კულტურული ვაჭრობის მხრივ ყველაფერი რიგზე არც თბილპურვაჭრობის № 185 მაღაზიაშია (გამგე ა. კაგარამოვი). რ. სხირტლაძე, რომელიც შემცვლელ გამყიდველად მუშაობს, ატყუებს მომხმარებლებს. იგი 1 მანეთად და 90 კაპიკად ღირებულ პურს 2 მანეთად ჰყიდის.

მარცხენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის № 53 მაღაზიაში (გამგე ტრაპაიძე, გამყიდველები ფ. ვორონოვა, ი. გაგანაშვილი) შემოწმებისას შენახული აღმოაჩნდათ 999 კილოგრამი შაქარი და 200 კილოგრამი ბრინჯი.

ვაჭრობის წესებს არღვევენ გასტრონომის № 8 მაღაზიაში (გამგე მ. ტიგრანიანი, გამყიდველი ო. ანასტასოვი). ამ მაღაზიაში მომხმარებელს ყოველ კილოგრამ კარაქზე 40 გრამს აკლებენ. ასევე იქცევიან გასტრონომის № 16 მაღაზიაში (დირექტორი ბ. ჭკუასელი, სექციონერი კ. რაზმაძე).

ეს იმიტომ ხდება, რომ ბევრი სავაჭრო ორგანიზაციის ხელმძღვანელი უდარდელობას იჩენს კადრების შერჩევის საქმეში, არ სწავლობს მათ პრაქტიკულ სამუშაოზე. ზოგჯერ მუშაკებს მაღაზიაში თვეობით გაუფორმებლად ამუშავებენ. მარჯვენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის № 29 მაღაზიაში (პეტრიაშვილის ქ. № 30) გასული წლის ოქტომბრიდან გამყიდველად გაუფორმებლად ამუშავებენ ს. აზატოვს. ამავე მაღაზიაში გამყიდველად მუშაობს ნ. დვალიშვილი. იგი გაფორმებულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გასული წლის ივლისის, აგვისტოს და დეკემბრის ხელფასი რატომღაც არ მიუღია. საინტერესოა, მარჯვენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის დირექციის მუშაკები როდემდის მოითმენენ ამ უმსგავსოებას?

ამ მაღაზიაში (ფაქტურა № 6303) ჰქონდათ ორი ხარისხის ყველი. ერთი ხარისხისა უნდა გაეყიდათ კილოგრამი 21 მანეთად და 40 კაპიკად, ხოლო მეორე — 16 მანეთად და 80 კაპიკად. ფაქტიურად ჩვენ ვნახეთ, რომ ორივე ხარისხის ყველს მაღაზიის გამგის ა. მილორავას მითითებით და „შინაურა“ ფაქტურით ჰყიდდნენ 21 მანეთად და 40 კაპიკად. ასეთი წესით აქ უკვე გაყიდული ჰქონდათ 120 კილოგრამამდე ყველი.

უნდა აღინიშნოს, რომ დედაქალაქში ჯერ კიდევ მთლიანად არ არის აღმოფხვრილი უხარისხო პურის გამოცხობის შემთხვევები. ზოგჯერ აცხობენ მომეტებული ტენიანობისა და სიმჟავის ცომს, ნახავთ დამწვარქერქიან, შერეული ხარისხის ფქვილისაგან გამომცხვარ პურს.

ავიღოთ თუნდაც პურის № 4 ქარხანა (დირექტორი ნ. გოგისაშვილი). ამ ქარხანაში პურის ხარისხზე ხშირად შემოდის საჩივარი. მაგალითად, პურის № 37 მაღაზიამ ამ ქარხნიდან მიიღო გამომცხვარი პური (ფაქტურა № 7272, 7265), რომელიც უსტანდარტო აღმოჩნდა და ამის გამო 400 კილოგრამი პური სარეალიზაციოდ ვერ გამოდგა.

მომხმარებლებს საფუძვლიანი პრეტენზიები აქვთ პურის № 2 ქარხნის ხელმძღვანელობისადმი (დირექტორი ამხ. დ. ჩრდილელი). ამ ქარხნიდან მაღაზიები ზოგჯერ იღებენ უსტანდარტო და უხარისხო პურს. ამას წინათ პურის № 190 მაღაზიამ სარეალიზაციოდ მიაღო ისეთი გამომცხვარი პური, რომელშიც ერთმანეთში შეზელილი იყო 72 და 96 პროცენტიანი ფქვილი.

პურის ხარისხისადმი ასეთი დაუდევრობის შედეგად 11,5 თვის განმავლობაში ამ ქარხნიდან გამომშვებული 19,2 ტონა პური სარეალიზაციოდ არ გამოდგა.

საქპურტრესტის № 28 საცხობიდან № 101 მაღაზიამ დილის 10 საათზე მიიღო 85 პროცენტიანი პური („კალაჩი“). ეს პური იმავე დღეს 3 საათის შემდეგ ავაწონინეთ და ყოველ 10 კილოგრამს 360 გრამი აკლდა. ასეთ არასტანდარტულ პურს მაღაზიაში ჰყიდდნენ.

სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები სუსტ დახმარებასა და კონტროლს უწევენ სავაჭრო ქსელის მუშაობას, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ დახლის მუშაკების შერჩევისა და აღზრდის საქმეს, ხოლო ზოგჯერ პროკურატურისა და სასამართლო ორგანოები სათანადო ბრძოლას არ ეწევიან საბჭოთა ვაჭრობის წესებისა და პროდუქციის ხარისხის დამრღვევთა წინააღმდეგ.

სასურსათო პროდუქტების ხარისხის ინსპექციიდან 26 კომისრის რაიონის პროკურატურას ზომების მისაღებად გასული წლის 10 მარტს გადაეგზავნა სათანადო საბუთები პურის № 2 ქარხნის მიერ 400 კილოგრამამდე წუნდებული პურის გამოშვების შესახებ. პროკურატურიდან პასუხი მხოლოდ მომდინარე წლის 8 იანვარს, ე. ი. 10 თვის შემდეგ მიიღეს. სამწუხაროდ, მიღებული პასუხი არადამაკმაყოფილებელია. პროკურატურიდან იწერებიან, რომ „სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა დანაშაულის სიმცირის გამო“!

ასევე მოიქცა სტალინის რაიონის პროკურატურა, რომელსაც გასული წლის 24 თებერვალს ზომების მისაღებად გადაეგზავნა სათანადო საბუთები პურის № 1 ქარხნის მიერ 600 კილოგრამი წუნდებული პურის გამოშვების შესახებ.

საბჭოთა ვაჭრობის მუშაკთა რიგებში ადგილი არ უნდა ჰქონდეთ კომბინატორებს, მომხმარებელთა წონა-ზომაში მომტყუებლებს. ამოცანა ის არის, რომ ბოლომდე აღმოვფხვრათ ვაჭრობაში არსებული ნაკლოვანებანი, მივაღწიოთ ვაჭრობის საქმის საფუძვლიანად გაუმჯობესებას.

რეიდის მონაწილეები: შ. ჭოჭუა, კ. კაჭახიძე, ი. გაჩეჩილაძე.

მახარაძის რაიონის სოფელ მელექედურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ალექსანდრე მიქაძემ და მისმა ცოლმა თეომ გასულ წელს გამოიმუშავეს 1.002 შრომადღე. ავანსად მიიღეს 20.040 მანეთი ფული და შრომადღეზე 4 კილოგრამი მარცვლეული. ს უ რ ა თ ზ ე: ა. მიქაძე კოლმეურნეობის სალაროში იღებს ავანსს.

ფოტო პ. ლუცენკოსი.

უმწიკვლო მუშაობისათვის

რუსთავი. (საკ. კორ.). ამ დღეებში სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში 5 მილიონ მანეთზე მეტი მიეცა ქარხნის ასობით მუშასა და ინჟინერ-ტექნიკოსს უმწიკვლო მუშაობისა და წელთა ნამსახურობისათვის.

მარტენის საამქროს მოწინავე მეფოლადეს ვ. ბულგატოვს, საბრძმედე საამქროს უფროს ოსტატს ვ. კობერიძეს, მილსაგლინავი საამქროს მვალცავს პ. პროზოროვს თვითეულს წელთა ნამსახურობისათვის 3.600 მანეთზე მეტი ერგო.

დიდი თანხა მიიღეს აგრეთვე მეფოლადეებმა შ. კუხალეიშვილმა, ა. ფანცულაიამ, გლინვის ოსტატებმა ვ. უბითიძემ, ს. ქუთელიამ და სხვებმა.

სასოფლო გიბლიოთეკები

ყოველწლიურად ფართოვდება ბიბლიოთეკების ქსელი. მარტო გასულ წელს რესპუბლიკაში გაიხსნა 193 სასოფლო და 5 მოძრავი ბიბლიოთეკა. ახალი ბიბლიოთეკები მიიღეს ასპინძის, ბოლნისის, ადიგენის, მესტიის, ახალქალაქისა და სხვა რაიონების სოფლების მცხოვრებლებმა.

წელს ბიბლიოთეკების რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. აშენდება 102 სასოფლო, 6 საბავშვო და 10 საქალაქო ბიბლიოთეკა.

სასოფლო ბიბლიოთეკებისათვის საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა მთავარი სამმართველო ამზადებს ბიბლიოთეკართა ახალ კადრებს, რისთვისაც გურჯაანის, ზესტაფონის, სამხრეთ ოსეთის, აჭარის, აფხაზეთის ბიბლიოთეკებთან მოაწყო სოფლის ბიბლიოთეკართა ერთწლიანი კურსები. უკვე გამოშვებულია სოფლის ბიბლიოთეკართა პირველი ჯგუფი.

მკითხველები ახალი წიგნების შესახებ

შენიშვნები პ. ღორღიას რომანზე „მაღაროებში“

მკაფიოდ და მართლად ასახო ჭიათურელ მაღაროელთა ცხოვრება — ეს ნიშნავს მაღალმხატვრულ ფერებში უჩვეო ახალი ადამიანების, სამშობლოს მგზნებარე პატრიოტების შეუპოვარი შრომა, მრავალფეროვანი საქმიანობა, მათი გრძნობები და ფიქრები. სამწუხაროდ, ჭიათურელ მაღაროელთა ცხოვრებაზე დღემდე თითქმის არ არსებობდა სერიოზული მხატვრული ტილო.

ამ მხრივ პირველი ცდაა მწერალ პარმენ ლორიას რომანი „მაღაროებში“, რომელიც გასულ წელს ზათუმის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა (რედაქტორი ნ. მალაზონია).

ავტორს მიზნად დაუსახავს მხატვრულ სახეებში გვიჩვენოს საქართველოს ერთ-ერთი მსხვილი სამრეწველო ცენტრის ჭიათურის მაღაროელთა შრომა, ბრძოლა და ყოფაცხოვრება.

რომანის მთავარი და ამავე დროს დადებითი გმირია ლევან ჭედიძე. ცამეტ-თოთხმეტი წლის ობოლი ლევანი აუტანელ პირობებს გამოეცალა კულაკ ნესტორ გოტონაძის ოჯახიდან და სოფლიდან ჭიათურაში ჩამოვიდა. გამოუცდელი სოფლელი ბიჭი ძველი რევოლუციონერის ხუთას ხვედელიძის ოჯახში შეიფარა. აქ შობლიური მზრუნველობით გაიზარდა ლევანი. მალე ზეინკლობას დაეუფლა, ხოლო შემდეგ საშუალო სკოლა და უმაღლესიც კი დამთავრა სიზმოთა ხელისუფლების მეოხებით, თავისი შეუღრეკელი ნებისყოფით, შრომისმოყვარეობითა და შეუპოვრობით ლევანმა დაძლია ყოველგვარი სიძნელე და სოფელი ღარიბი ობოლი ბიჭი მოწინავე სიზმოთა ინჟინერი და მაღაროს დირექტორი გახდა.

უსათუოდ დასამახსოვრებელია მამა-შვილის ზურაბ და არჩილ ხვედელიძეების სახეები და მათი ოჯახის კეთილშობილური ბუნება.

წმერალმა მკაფიოდ გამოკვეთა აგრეთვე გადაგვარებული და ყოფილი ადამიანების — ესე კიბაძისა და მისი მეუღლის ელენეს, რაჟდენ სირბილაძის, ნესტორ გოტონაძის, ფეფოს და სხვა ნაძირალების სახეები.

მაგრამ პარმენ ლორიას რომანი „მაღაროებში“ როდია უნაკლო და სრულყოფილი მაღალმხატვრული ნაწარმოები.

ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ შენიშვნას გავაკეთებთ. უწინარეს ყოვლისა, რაც თვალში მოხვდება მკითხველს, ეს ის არის, რომ რომანი „მაღაროებში“ არ არის კომპოზიციურად მტკიცედ შეკრული, მსსში არ იგრძნობა დამჯერებელი თანმიმდევრობა, ზოგჯერ გადასვლები არაბუნებრივია.

თვით მთავარი დადებითი გმირის ლევან ჭედიძის ხასიათიც არ არის რომაში დახატული ღრმად, თანმიმდევრულად. მაღაროს დირექტორის ლევანის სახე მკრთალია. მისი საქმიანობა თითქოს მხოლოდ კიბაძისა და მის თანამზრახველთა წინააღმდეგ ბრძოლით ამოიწურება. რომანში, სამწუხაროდ, არ ჩანს სიზმოთა დირექტორის, როგორც წარმოების კარგი ორგანიზატორის, ზომთხოვნელი და პრინციპული სამეურნეო მუშაკის სახე.

რომანის ზოგიერთი გმირი ეპიზოდურად გამოჩნდება, ხოლო შემდეგ ფერმკრთალი ხდება ან სრულად ქრება.

პატარა ნოდარის შესახებ ავტორი რომანის დასაწყისში წერს: „პატარა მალე მორჩა ჭამას და ატიკტიკდა. ორი წლის იქნებოდა, ღონიერი და ძალმსხვილი. მაგის მსგავსი თვალწარმტაცი ჰქონდა. თავის ასაკთან შედარებით კარგად ლაპარაკობდა. მშვენივრად აზროვნებდა და ყველაფერში უფროსებს ბაძავდა...“

ავტორი აუცილებლად აუბარბაზს, როცა ორი წლის ბავშვს ინარჩევულებრივ ნიჭსა და მშვენივრად აზროვნების უნარს მიაწერს. მკითხველი მოელის, რომ ნოდარის სახელი გზადაგზა გაჰყვება რომანს და მისგან რაღაც განსაკუთრებული ახალგაზრდა გამოვა, მაგრამ ბავშვის სახელი იმავე გვერდიდან იკარგება და მხოლოდ რომანის ბოლოს ვგებულობთ, რომ პოდარი სტუდენტია.

რომანში ეპიზოდური გმირები სხვაც გვხვდება.

ჭიათურა რევოლუციური ტრადიციის ქალაქია. პირველი რევოლუციის გარიჟრაჟზე აქ მოღვაწეობდა ი. ბ. სტალინი. იგი ლენინურ იდეებს ნერგავდა მაღაროელებში, რაზმავდა და ასალკლდევებდა მათ. ეს მომენტი მეტად მკრთალად და მხოლოდ ორიოდე სიტყვით არის რომანში გადმოცემული.

რომანის ფრიად სერიოზული ნაკლია, რომ მასში ასახული არ არის ჭიათურის მაღაროელთა იმისმშემდგომი ცხოვრება.

ავტორს უცდია ეჩვენებინა პარტიული ორგანიზაციის მუშაობა. მაგრამ მას არ ჰყოფნის მხატვრული ალღო იმისათვის, რომ გვიჩვენოს პარტიული ორგანიზაციის მაორგანიზებელი და დამრსმავი როლი, დახატოს პარტიული მუშაკების დამაჯერებელი და დასამახსოვრებელი სახეები.

რამდენიმე სიტყვა ზოგიერთი არასიზუსტისა და ერთგვარი უხერხულობის შესახებ. მწერალს ფანტაზიას ვინ აუკრძალავს ან ვინ შეუზღუდავს, მაგრამ ისტორიული ფაქტიც არ უნდა დაამახინჯოს.

რომანის მიხედვით ეგნატე ნინოშვილი ჭიათურის მაღაროებში იყო. როცა პატარა მეურმე ბიჭს გიორგის ხარ-ურემი ხეზე გადაეჭიხა, თითქოს ეგნატემ ითავა ახლის შეძენა, მუშებში ფული შეუგროვა და ზედა რგსნში აუტანა. ეგნატემ თითქოს მეორედაც ინახულა წერეწვადის ოჯახი, იქ წამალი და ი. გოგებაშვილის „დედა-ენა“ მიიტანა. ყველაფერი ეს კარგია და სწორედ ეგნატეს „კეთილშობილებას“ შეფერის, მაგრამ ჭიათურის მაღაროებში ეგნატეს ყოფნა ისტორიულად არ დასტურდება. ეგნატე სინამდვილეში მუშაობდა მრეწველ ღოღობერიძის კანტორაში, რომელიც ზესტაფონში იყო.

ასევე დაუჯერებელი და ისტორიულად დაუსაბუთებელია სტუდენტების ცირას, თინას და ლევანის შეხვედრა თბილისში სერგო ორჯონიკიძესთან, რომელიც ახალგაზრდებმა თითქოს იმით იცნეს, რომ მათ სერგო ჭიათურაში ჩამოსვლისას ინახულეს. სერგო კი ამ პერიოდში ჭიათურაში არ ყოფილა.

რომანში გვხვდება ზოგიერთი არაზუსტი გამოთქმებიც. „იგი სამთამადნო ინსტიტუტში ჩირიცხულიყო“, „პირველი ეშელონი ფეროელმა მუშებმა ბაქოს მეტალურგებს გაუგზავნეს“, „ჭიათურის მაღაროელების წარმომადგენლები ეწვიენ ზაპოროჟიელებს“ და სხვ.

სამთამადნო ინსტიტუტი საქართველოში არ ყოფილა, ბაქოს მეტალურგებიც არ არიან ცნობილი, ხოლო ჭიათურელები ნიკოპოლელ მაღაროელებს ეჯიბრებიან.

აწდა ასეთი მაგალითი ავიღოთ. 311 გვერდზე ვკითხულობთ: „საქალაქო კომიტეტის მდივნის კაბინეტში რამდენიმე კაცს მოეყარა თავი. აქ იყვნენ მეორე მდივანი გიორგი გომდაშვილი, აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე...“

შემდეგ გვერდზე ქალაქკომის მდივანი რაიკომის მდივნად იქცა, ხოლო განყოფილებას ჯერ მარტო პროპაგანდის განყოფილება ეწოდება, შემდეგ კი ნამდვილი „სახელწოდება — პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება.

რომანში ცოტა როდია გაუმართავი გამოთქმები და წინადადებები. „ყარტო კარეზისაკენ გაიწია“, „მეზობლებს თავი უჭირდათ“, „უკანასკნელ დღეებს ითვლიდა შეიღწროებული ყურძო ვაჭრები“, „ექსკურსია, რომლის მოწყობა ცირამ შეპირდა“, „მარომ ელაპარაკა ნატოს“, „ვის მოსწრია, რომ განცხადების შეტანისათვის კაცი პარტიიდან გაერიცხოთ“.

რომანში არის ისეთი სიტყვები, რომლებიც არ იხმარება საუბარში და ნაკლებად გავრცელებული ლიტერატურაში. ასეთებია: „ძაბა“, „ძამიე“, „წახან“, „მასეთი“, „დიყვი“, „მაქ“, „გაგიპირდნენ“, „გამომარეხული“, „მიიკლო“ და სხვ.

მარგანეცის ქალაქის მშრომელები მოელიან მაღალმხატვრულ და სრულყოფილ ტილოს, სადაც უფრო ოსტატურად და მკაფიოდ აისახება მაღაროელთა მრავალფეროვანი შემოქმედებითი შრომა და სისხლსავსე, შინაარსიანი ცხოვრება.

პ. ჭიოკაძე, შ. ჩაჩანიძე.

ქ. ჭიათურა.

საერთაშორისო მიმოხილვა

შეთქმულება აზიის ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმის წინააღმდეგ

23 თებერვალს ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში გაიმართება 1954 წელს მანილაში დადებული აგრესიული სამხედრო „კავშირის — „სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო ბლოკის“ მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელთა თათბირი.

ამ თათბირის მოწვევის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც 3 იანვარს გამოქვეყნდა ვაშინგტონში, საქმისეა დასახული, თითქოს თათბირი მოწვეული იყოს ტაილანდის მთავრობის წინადადებით. ნამდვილად კი ინიციატივა ეკუთვნის ამერიკის დიპლომატიას, რომელიც ისწრაფვის დაიჩქაროს მანილის პაქტით გათვალისწინებული აგრესიული გეგმების განხორციელება.

ცნობილია, რომ მანილის თათბირი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ხსენებულ სამხედრო ბლოკს, შარშან სექტემბერში გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების დაჟინებული მოთხოვნით, რომელიც დაფრთხო ჟენევის თათბირის შედეგებმა. ამ ბლოკს დაარქვეს ყალბი სახელი „ხელშეკრულება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის თავდაცვის შესახებ“. მაგრამ უკვე თვით მის მონაწილეთა ბემადგენლობა მოწმობს, რომ იგი იმპერიალისტური, კოლონიზატორული ხასიათისაა. მასში მონაწილეობენ სამი მთავარი კოლონიური სახელმწიფო (ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი), მათი ხელშემწყობნი — ავსტრალია და ახალი ზელანდია, და აზიის მარტო სამი ქვეყანა, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებზე კაბალურ დამოკიდებულებაში მოექცნენ. ამავე დროს „სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო ბლოკში“ მონაწილეობაზე უარი თქვეს მეტმა წილმა აზიის ქვეყნებმა. მათ შორის აზიის უდიდესმა სახელმწიფოებმა — ჩინეთმა და ინდოეთმა.

თვით მანილის ხელშეკრულების ტექსტი მჭევრმეტყველურად მოწმობს მის მიზნებს. ეს მიზნებია აზიის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ჩახშობა, ქენევაში დადებული დაზავების ჩაშლა, და ინდოჩინეთის ხალხთა წინააღმდეგ აგრესიული ომის განახლება, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაზე თავდასხმის მომზადება. ამ გეგმების ინიციატორები და სულისჩამდგმელები — ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეებია — ამავე დროს ცდილობენ გააძევონ თავიანთი პარტნიორები — ინგლისი და საფრანგეთი — აზიის კონტინენტის იმ რაიონებიდან, რომლებიც უკვე დიდი ხანია კაპიტალის გამოყენების სფერო და გასაღების ტრადიციული ბაზრებია ინგლისისა და საფრანგეთისათვის.

ამერიკის დიპლომატია ზეგავლენას ახდენს მანილის პაქტის ყველა მონაწილეზე. ცდილობს რა რაც შეიძლება მალე შექმნას მანილის პაქტის შეიარაღებული ძალები და გამოიყენოს ისინი აგრესიისათვის. მანილის თათბირზე დალესმა განაცხადა, რომ მისი მონაწილენი ყველაზე უკეთ შეასრულებენ თავიანთ ამოცანებს, თუ მათს განკარგულებაში იქნება „დამაშინებელი საშუალებანი მოძრავი საბრძოლო ძალის სახით და, გარდა ამისა, სტრატეგიულად მნიშვნელოვან პუნქტებში განლაგებული რეზერვები“. ორი თვის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა სენატის საგარეო საქმეთა კომისიაში განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ მიიწვიონ „სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო ბლოკის“ მონაწილე ქვეყნების თათბირი, რათა განიხილონ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში „ძირგამომთხრელი საქმიანობის საფრთხის“ (კოლონიზატორები ასე უწოდებენ აზიის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას) წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები, იმასაც კი არ დაელოდონ, რომ ძალაში შევიდეს მანილის ხელშეკრულება.

და მართლაც ბანგკოკის თათბირი მოწვეულ იქნება, მიუხედავად იმისა, დაამტკიცებენ თუ არა იმ დროისათვის მანილის ხელშეკრულებას მისი მონაწილენი. ეს გადაჭრით განაცხადა 4 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა საიდემმა. თუ მანილის პაქტი, თქვა მან, არ დამტკიცდა 23 თებერვლამდე, ბანგკოკში გაიმართება „სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო ბლოკის“ საბჭოს სხდომა, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება ბლოკის მონაწილე 8 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი.

მაგრამ მიუხედავად იმისა, თუ რას დაარქმევენ კოლონიზატორთა და მის ხელშემწყობთა შეკრებას ბანგკოკში, აშკარაა მშვიდობის საქმისათვის საშიში მისი ხასიათი. „სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო ბლოკის“ ქვეყნების პრესისა და მმართველი წრეების წარმომადგენელთა აზრით, ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ მიაღწიონ ამ შეკრებაზე იმას, რომ დაჩქარებული წესით განხორციელდეს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში აგრესიის უშუალო მომზადება.

ბანგკოკის თათბირის მოწვევა ახალი რგოლია ამერიკის დიპლომატიის ღონისძიებათა მთელ წყებაში, რომელთა მიზანია გააძლიერონ დაძაბულობა აზიაში.

საზღვარგარეთის პრესის აზრით, ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი პარტნიორები მანილის ბლოკში — ინგლისი და საფრანგეთი, — დათანხმდნენ რა ბანგკოკის თათბირის მოწვევაზე, ამავე დროს შიშს გამოთქვამენ: ძალიან მორს ხომ არ წაიყვანს მათ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების ავანტიურიზმი და ამერიკელ კოლონიზატორთა უზომო მადას ხომ არ შეეწირება მსხვერპლად ინგლისელ და ფრანგ კოლონიზატორთა ინტერესები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ამასთან დაკავშირებით აღნიშნავენ, რომ შესაძლოა ბანგკოკის მომავალი თათბირის მონაწილეთა შორის უთანხმოება ჩამოვარდეს.

რაც შეეხება აზიის ქვეყნებს, ამ ქვეყნების ფართო საზოგადოებრივი წრეები აღფოთებული არიან კოლონიზატორთა შეთქმულებით.

იმას, რომ აზიის ქვეყნები მზად არიან წინააღმდეგობა გაუწიონ კოლონიზატორებს და ხელი შეუშალონ მშვიდობის საქმეს, მოწმობს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის 5 ქვეყნის პრემიერ-მინისტრთა ბოგორის (ინდონეზია) თათბირის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ამა წლის აპრილში მოეწყოს აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მონაწილეობით.

რომში მენდეს-ფრანსის მოლაპარაკების შედეგების გამო

13 იანვარს რომში დამთავრდა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ მენდეს-ფრანსისა და იტალიის მთავრობის პოლიტიკური მოლაპარაკება, რომელიც სამ დღეს მიმდინარეობდა.

ოფიციალურ კომუნიკეში, რომელიც მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ გამოქვეყნდა, მოლაპარაკების მიზანი მეტად ბუნდოვნად არის განსაზღვრული. მაგრამ რომში მენდეს-ფრანსის გამგზავრებამდე და რომში მისი ყოფნის დროს პრესის მიერ გამოთქმული მრავალი აზრი უფრო მკაფიო წარმოდგენას გვაძლევს მისი ვიზიტის მიზნებზე.

საქმე ის არის, რომ პარიზის შეთანხმება ჯერ კიდევ საბოლოოდ არ დაუმტკიცებია განზრახული „დასავლეთ ევროპის კავშირის“ მონაწილე არც ერთ ქვეყანას. მოსალოდნელია ამ საკითხზე კამათის ახალი ტური, კერძოდ, საფრანგეთის რესპუბლიკის საბჭოში და იტალიის სენატში. დასავლეთ გერმანიაში ვერმახტის აღორძინების მომხრენი ისწრაფვიან წინასწარ დაასუსტონ იმ პარლამენტარების პოზიციები, რომლებიც პარიზის შეთანხმებათა წინააღმდეგ ილაშქრებენ და ქმნიან იმის მოჩვენებითობას, თითქოს დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია „შეზღუდული“ და „კონტროლს დაქვემდებარებული“ იქნება და რომ „კონტროლის“ ღონისძიებანი, რასაც პარიზის შეთანხმებანი ითვალისწინებენ, თითქოს გარანტია იქნება, რომ გერმანიის აგრესია არ გამეორდება.

მაგრამ ის, რომ პარიზის შეთანხმებათა ინიციატორები და დამცველები იმოწმებენ ამ შეთანხმებათა თვით ტექსტს, გულუბრყვილოებსაც კი ვერ დაარწმუნებს, რადგან შეთანხმების ყველა პუნქტს, რომლებიც გარანტიასა და კონტროლს ეხება, თან ახლავს ისეთი შენიშვნები, რომლებიც ამ „გარანტიებს“ ნამდვილ ფიქციად აქცევენ. ამიტომ საზოგადოებრივი აზრის მოსატყუებლად საჭირო გახდა ახალი ფანდები. გამოაქვეყნეს შეიარაღების ეგრეთწოდებული „პულის“ (ე. ი. გაერთიანების) პროექტი, რომელიც მენდეს-ფრანსმა შეიტანა ლონდონის 9 სახელმწიფოს თათბირზე. პროექტი ითვალისწინებს შეიქმნას „დასავლეთ ევროპის კავშირის“ მონაწილეთა ერთობლივი ორგანო, რომ „დაიგეგმოს“ შეიარაღების წარმოება და ამ მონაწილეებს შორის განაწილდეს ამერიკის სამხედრო დაკვეთები. უფრო გვიან მენდეს-ფრანსის პროექტი განაახლეს და საფრანგეთის მთავრობის მემორანდუმის სახით წარუდგინეს „დასავლეთ ევროპის კავშირის“ მონაწილე სხვა ქვეყნების მთავრობებს. ამავე დროს ამ მემორანდუმის გარშემო ატყდა გამაყრუებელი სარეკლამო განგაში. საფრანგეთის ის გაზეთები, რომლებიც გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების გეგმების პროპაგანდას ეწევიან და პარიზის შეთანხმებებს იცავენ, თავმომაბეზრებლად უნერგავდნენ საზოგადოებრივ აზრს, რომ „შეიარაღების პული“ თითქოს ეფექტიანი საშუალებაა იმისათვის, რომ შეიზღუდოს დასავლეთ გერმანიის შეიარაღება და აილაგმოს რურის ქვანახშირისა და ფოლადის მაგნატები.

„შეიარაღების პულის“ პროექტის შინაარსის ზერელე გაცნობაც კი გვიჩვენებს, რომ ასეთი მტკიცება ბლეფია. ნამდვილად კი ამ პროექტის წამოყენება მოწმობს პარიზის შეთანხმებათა მონაწილეების ბრძოლის გამწვავებას იარაღის წარმოებაში მონაწილეობისათვის, გამალებული შეიარაღებისაგან მიღებული მოგების მეტი წილისათვის. ფრანგ ზარბაზნების მეფეებს სურთ უკან მოიტოვონ იარაღის რურელი ფაბრიკანტები, გაადიდონ თავიანთი წილი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო დაკვეთების შესრულებაში და დააწესონ მეთვალყურეობა ამერიკის სამხედრო მიწოდებათა განაწილებისადმი.

როგორც მოსალოდნელი იყო, ფრანგი მონოპოლისტების პრეტენზიებს, რომლებიც „შეიარაღების პულის“ პროექტით გამოიხატა, უაღრესად გულცივად შეხვდნენ საფრანგეთის პარტნიორები პარიზის შეთანხმებებში. საფრანგეთის წინადადებას, როგორც დასავლეთ გერმანიის გაზეთი „შპანდაუერ ფოლკსბლატი“ მოწმობს, „მეგობრული გამოხმაურება არ გამოუწვევია არც ინგლისში და არც ამერიკის შეერთებულ შტატებში. ოკეანეს გაღმიდან გაისმა გაფრთხილების ხმა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არავის არ მისცემენ ნებას ჩაერიოს ამერიკის დაკვეთების განაწილებისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის ამერიკის სამხედრო დახმარების საქმეში. ბონის მეურნეობ

იტალიის კომპარტიის IV ეროვნულმა კონფერენციამ მუშაობა დაამთავრა

რომი, 14 იანვარი. (საკდესი). გუშინ რომში დამთავრდა იტალიის კომუნისტური პარტიის IV ეროვნული კონფერენცია.

სამოლოო სხდომაზე გრძელდებოდა კამათი რუჯერო გრიეკოს მოხსენების გამო „იტალიის სოფლის მეურნეობის კრიზისი და ბრძოლა აგრარული რეფორმისა და გლეხობის ინტერესებისათვის“. ბევრი ორატორი ლაპარაკობდა იტალიის მშრომელი გლეხობის მამაცურ ბრძოლაზე მიწისა და დემოკრატიულ თავისუფლებათათვის.

სამოლოო სიტყვაში პალმირო ტოლიატიმ განაცხადა, რომ იტალიის კომუნისტური ორგანიზაციების ძირითადი ამოცანა უნდა იყოს ბრძოლა ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ, ატომური საფრთხის წინააღმდეგ, დასავლეთ გერმანიის შეიარაღების შესახებ გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ.

კონფერენციამ მოისმინა ადრეთვე სამანდატო კომისიის მოხსენება.

დასასრულ კონფერენციის მონაწილეებმა განიხილეს და მიიწონეს პროექტები რეზოლუციებისა განხილულ საკითხებზე. კონფერენციის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმების საპასუხო წერილის ტექსტი.

ბელგიის პარლამენტში

პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის კანონპროექტის განხილვა

ბრიუსელი, 14 იანვარი. (საკდესი). გუშინ ბელგიის დეპუტატთა პალატაში გრძელდებოდა დისკუსია ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის კანონპროექტის გამო.

სამოლოო სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საგარეო საქმეთა მინისტრმა სპაააკმ. მან, კერძოდ, განაცხადა, რომ ბელგიის მთავრობა არ აპირებს პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის კანონპროექტი შეიტანოს სენატის განსახილველად, სანამ არ გამორკვევა ამ შეთანხმებათა ბედი საფრანგეთსა და დასავლეთ გერმანიაში.

ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის კანონპროექტის გამო დისკუსიის დამთავრების შემდეგ გამოაცხადეს, რომ ამ კანონპროექტის კენჭისყრა მოეწყობა 20 იანვარს.

დეპუტატთა პალატაში სამი დღის კამათმა ცხადყო, რომ ბელგიის მმართველი წრეების მისწრაფებამ — თავს მოახვიონ ხალხს შეთანხმებანი დასავლეთ გერმანიის შეიარაღების შესახებ, სერიოზულად შეაშფოთა მემარჯვენე პარტიების ბევრი დეპუტატიც კი. ეს შეშფოთება უეჭველია, გამოხატავს ბელგიელი ხალხის ფართო ფენების მზარდ პროტესტს გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ.

გადადგა ნორვეგიის მთავრობა

ოსლო, 15 იანვარი. (საკდესი). როგორც ნორვეგიის რადიო იუწყება, გუშინ საღამოს ნორვეგიის პრემიერ-მინისტრმა ოსკარ ტორპმა მეფეს გადასცა განცხადება მთავრობის გადადგომის შესახებ.

როგორც პრესის პირველი კომენტარებიდან ჩანს, ტორპის მთავრობის გადადგომა გამოიწვია იმან, რომ ნორვეგიაში იზრდება უკმაყოფილება მისი საგარეო და საშინაო პოლიტიკის კურსის გამო.

კოსტა-რიკის ამბების გამო

ნიუ-იორკი, 14 იანვარი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი სან-ხოსედან (კოსტა-რიკა) გადმოგვცემს, რომ, როგორც იუწყება გამომკვლევი კომისია, რომელიც ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციამ გაგზავნა კოსტა-რიკაში, მან აღმოაჩინა „იმის სერიოზული დამამტკიცებელი საბუთები, რომ იარაღი და საომარი მასალა“, რომელსაც კოსტა-რიკის ტერიტორიაზე შეპრილი ჯარები იყენებენ, „უცხოეთის წყაროდან მოდის“. კომისიას არ დაუსახელებია ეს „უცხოეთის წყარო“.

გაზეთი „დეილი უორკერი“ კოსტა-რიკაში ინტერვენციის შესახებ

ნიუ-იორკი, 14 იანვარი. (საკდესი). ეხება რა კოსტა-რიკის წინააღმდეგ აგრესიის საკითხს, გაზეთი „დეილი უორკერი“ მოწინავე სტატიაში წერს:

ნიკარაგუადან კოსტა-რიკაში შეიარაღებული ძალების შეჭრა თითქოს „კოსტარიკელი ემიგრანტების“ ხელმძღვანელობით საოცრად მოგვაგონებს შარშანდელ ინტერვენციას გვატემალის დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური წრეები და პრესა ამ ინტერვენციას ამართლებდნენ „კომუნისტური შეთქმულებისაგან“ ნახევარსფეროს გადარჩენის „საჭიროებით“. კოსტა-რიკის მთავრობა კომუნისტური არ არის, კომუნისტური პარტია აქ აკრძალულია. მაგრამ კოსტა-რიკაში არის პროფკავშირული მოძრაობა, რომელიც შედარებით უფრო მეტი თავისუფლებით სარგებლობს, ვიდრე ცენტრალური ამერიკის სხვა ქვეყნებში.

უფრო მეტიც, კოსტა-რიკამ ბოიკოტი გამოუცხადა კარაკასის კონფერენციას, რომელიც მოწვეული იყო სახელმწიფო მდივნის დალესის ინიციატივით, ხოლო კოსტა-რიკის მთავრობამ „იუნაიტედ ფრუტ კომპანიის“ წარმომადგენლებს ბევრი არასასიამოვნო წუთი აგება, ემუქრებოდა რა მათ სასამართლო პროცესით „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის“ სანაცვლოდ მუშათა ხელფასის ნაწილის მითვისებისათვის.

„იმისათვის, რომ რომელიმე მთავრობას ისე მოექცნენ, როგორც გვატემალისას, ან რაღაც ამის მსგავსი გაკეთონ, — წერს დასასრულ გაზეთი, — საჭირო არ არის, რომ იგი იყოს სახალხო დემოკრატიული რეჟიმი, როგორიც იყო არბენსის მთავრობა გვატემალაში; იგი შეიძლება იყოს ანტიკომუნისტური, როგორც ვარგასის რეჟიმი ბრაზილიაში, როგორც გრაუ სან მარტინის რეჟიმი კუბაზე. მისგან მხოლოდ იმას მოითხოვენ, რომ უარი თქვას ყველა თავის სუვერენულ უფლებაზე, თუ ეს უფლებანი უოლსტრიტისა და ვაშინგტონის უკმაყოფილებას იწვევენ“.

ურუგვაის გაზეთი გმობს აგრესიას კოსტა-რიკის წინააღმდეგ

მონტევიდეო, 14 იანვარი. (საკდესი). ურუგვაის გაზეთი „ხუსტისია“ სარედაქციო სტატიაში მტკიცე პროტესტს აცხადებს კოსტა-რიკაზე თავდასხმის წინააღმდეგ. აღნიშნავს რა გუტერუაზიული სააგენტოების ცნობებს იმის შესახებ, რომ გვატემალის წინააღმდეგ აგრესიის ბევრი მონაწილე ახლა იარაღით ხელში გამოდის კოსტა-რიკის წინააღმდეგ, გაზეთი წერს, რომ ისინი ამერიკის კომპანია „იუნაიტედ ფრუტის“ და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის დაქირავებული აგენტები არიან. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანობა ცენტრალურ ამერიკაში მიზნად ისახავს ამ ქვეყნების დამონებას და მათი ხალხების ექსპლოატაციას. „ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოაწყეს სისხლისღვრა გვატემალაში. ახლა ისინი კვლავ აიძულებენ ლათინური ამერიკის მცხოვრებთ დაღვარონ თავიანთი სისხლი“.

მოლაპარაკება მენდეს-ფრანსსა და ადენაუერს შორის

პარიზი, 14 იანვარი. (საკდესი). როგორც კელნის რადიო იუწყება, დღეს ბადენ-ბადენში დაიწყო მოლაპარაკება კანცლერ ადენაუერსა და რომიდან ჩამოსულ საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ მენდეს-ფრანსს შორის.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრს მენდეს-ფრანსს გამოუგზავნეს 48 ლიტრი რძე, თითო ლიტრი თვითეული შტატისაგან.

(გაზეთებიდან).



ამერიკელი ძიძა და რძის მოყვარული პრემიერი.

ნახ. გ. ფირცხალავასი.

ეიზენჰაუერის წერილი კონგრესისადმი

ვაშინგტონი, 14 იანვარი. (საკდესი). გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ურჩევს გაადიდოს ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების რეზერვების რიცხვი. ამ მიზნით ეიზენჰაუერს შეაქვს წინადადება, ჯერ-ერთი, ოთხი წლით გაუგრძელდეს ვადა სამხედრო ბეგრის კანონს, რომლის მოქმედების ვადა გადის 1955 წლის 1 ივლისს; მეორე, შემოღებულ იქნას სამხედრო წვრთნის პროგრამა, რომელიც შესაძლებელს გახდის „განმტკიცდეს შეიარაღებული ძალების რეზერვები“, და, მესამე, ორი წლით გაუგრძელდეს მოქმედების ვადა დებულებებს ექიმთა რეგისტრაციისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ.

კონგრესის ატომის ენერგიის საკითხთა გაერთიანებული კომისიის წევრის კოუღის განცხადება

ნიუ-იორკი, 14 იანვარი. (საკდესი). კონგრესის ატომის ენერგიის საკითხთა გაერთიანებული კომისიის წევრმა რესპუბლიკელმა კოუღმა (ნიუ-იორკის შტატი) ნიუ-იორკში განაცხადა, რომ მშვიდობა შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ დიპლომატიის დახმარებით.

ილაპარაკა რა საბჭოთა კავშირში ატომური ტექნიკის განვითარებაზე, კოუღმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირს აქვს ატომის ენერგიაც და დიდი ტექნიკური მონაცემების რეაქტიული ბომბდამშენებიც. მან ყურადღება მიაპყრო იმ შედეგებს, რომლებიც ომის პოლიტიკას შეეძლება მოჰყვეს შეერთებული შტატებისათვის, და დასძინა:

„თუ ამერიკის შეერთებული შტატების მიზანი ნამდვილი და მტკიცე მშვიდობა, მაშინ იარაღი თავისთავად არ შეეძლება საკმარისი იყოს მის მისაღწევად; ამ ატომის საუკუნეში მშვიდობა... შეეძლება მოპოვებულ იქნას მხოლოდ ნელა მოქმედი ბრძნული დიპლომატიის გზით, რომელიც არ ესწრაფვის არც ლაჩრულ დაშოშმინებას და არც ორასაკადრის ქედმაღლობას“.

რეიზერის საგენგო დანიის განზრახვის შესახებ — გადადგოს პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია

ლონდონი, 14 იანვარი. (საკდესი). იმოწმებს რა კოპენჰაგენის ინფორმირებულ წრეებს, რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ დანიის მთავრობამ გადაწყვიტა გადადგოს პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია დასავლეთ გერმანიის ხელახლა შეიარაღების შესახებ. მას ამედი აქვს, რომ აიძულებს დასავლეთ გერმანიას დაუთმოს დანის ბრეტენზიებს შლეზვიგ-ჰოლშტაინში. რატიფიკაციის საკითხს განიხილავენ მხოლოდ თებერვლას დამლევს. დანია მხარს უჭერს სამხრეთ შლეზვიგის დანიელი უმცირესობის მოთხოვნას ლანდტაგში წარმომადგენლობის შესახებ.

დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის პოლიტიკის წინააღმდეგ

ლონდონი, 14 იანვარი. (საკდესი). როგორც გაზეთი „დეილი უორკერი“ წერს, საფრონ-უოლდენი (ესექსის საგრაფო) ლეიბორისტული პარტიის ორგანიზაციის ჰიდინგემის განყოფილების ყველა მუშაკი გამოვიდა ლეიბორისტული პარტიიდან ომის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ პარტიის ხელმძღვანელობა მხარს უჭერს დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის პოლიტიკას.

ამ განყოფილების თავმჯდომარე და მდივანი კომუნისტურ პარტიაში შევიდნენ.

განმარტა რა ლეიბორისტული პარტიიდან გამოსვლის მიზეზი, განყოფილების მდივანმა ბეიკონმა განაცხადა: „მხარს უჭერს რა გერმანიის ხელახლა შეიარაღებას, ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობა ფაქტიურად მხარს უჭერს მესამე მსოფლიო ომის იდეას“.

ეგვიპტის პრესა გმობს თურქეთ-ერაყის შეთანხმებას

კაირო, 14 იანვარი. (საკდესი). ეგვიპტეში აღშფოთებით შეხვდნენ ცნობას, რომ ერაყის ნური საიდის მთავრობა დათანხმდა დაიდოს ერაყ-თურქეთის სამხედრო ხელშეკრულება. პრესა ერთსულოვნად გმობს ერაყის მთავრობის ამ ნაბიჯს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თურქეთთან სამხედრო ხელშეკრულებას დადება ფაქტიურად იმის მომასწავებელი იქნება, რომ ერაყი მონაწილეობას მიიღებს დასავლეთის სამხედრო ღონისძიებებში, რის წინააღმდეგ გადაჭრით ილაშქრებს ყველა არაბი ხალხი.

მთავრობასთან ახლო მდგომი გაზეთი „ალგუმჰურია“ წერს, რომ „ეგვიპტის წრეებში ერაყ-თურქეთის შეთანხმება მიაჩნიათ ყველაზე სერიოზულ მოვლენად არაბთა ერთიანობის ისტორიაში“. გაზეთი წერს, რომ ნური საიდის მთავრობა ანგრევს არაბთა სახელმწიფოების ერთიანობას, რომ ერაყის თანხმობა მონაწილეობა მიიღოს თურქეთთან სამხედრო კავშირში, „ეწინააღმდეგება არაბთა ქვეყნების ლიგის წესდების ფორმასა და შინაარსს, წესდებისა, რომელიც ავალებს ერაყის მთავრობას წინასწარ მაინც მოეთათბიროს არაბთა სხვა სახელმწიფოებს, ვიდრე გადადგამდეს ისეთ სერიოზულ ნაბიჯს, რომელიც ეხება არაბთა ქვეყნების ლიგის პოლიტიკას მთლიანად“.

„ალ-გუმჰურია“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნური საიდის მთავრობა ვერაგულად მოიქცა, როცა მიიღო გადაწყვეტილება დადოს „არაბთა ქვეყნების ლიგის ფარგლებს გარეთ პაქტი თურქეთთან, რომელიც შეზოჭილია ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულებით, აგრეთვე პაკისტანთან დადებული ხელშეკრულებით, რის წინააღმდეგიც არიან ეგვიპტე და არაბთა სხვა ქვეყნების უმრავლესობა“.

სამხედრო აეროდრომების მშენებლობა ირანში

თეირანი, 14 იანვარი. (საკდესი). როგორც გაზეთი „პოსტე თეჰრანი“ იუწყება, ისპაჰანში, ქერმანში და ბელუჯისტანის ერთ-ერთ რაიონში მალე დამთავრდება აეროდრომების მშენებლობა, რომლებზეც დაშვება შეეძლებათ რეაქტიულ თვითმფრინავებს. გაზეთი აღნიშნავს, რომ მარტამდე ირანის მთავრობას გადაეცემა ამერიკის რეაქტიული თვითმფრინავების პარტია.

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროს თბილისის რძის კომბინატი სისტემატურად ადიდებს რძის პროდუქტების გამოშვებას მოსახლეობისათვის. იგი უშვებს 21 სახელწოდების პროდუქტებს. კომბინატმა ახლახან აითვისა ახალი სახის პროდუქტის—გადამდნარი ყველის გამოშვება. უკვე გამოშვებულია 67 ტონა. ასევე გადიდდა „სულგუნის“ გამოშვება ქალაქის რესტორანებისა და კაფეებისათვის. სურათებზე: 1. გადამდნარი ყველის საამქრო: წინა პლანზე სტახანოველი თამარ კიკილაშვილი მუშაობს ავტომატზე. 2. ხაპოს და ყველის საამქრო. საამქროს უფროსი მ. ანდღულაძე (მარცხნივ) და ოსტატი ვ. შინკარენკო ამოწმებენ „სულგუნის“ ხარისხს.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ვ. დავიდოვას და დ. გამრეკელის გასტროლები

თბილისში საგასტროლოდ იმყოფებოდა სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტი, რსფსრ სახალხო არტისტი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. დავიდოვა, რომელმაც წარმატებით შეასრულა ამნერისის პარტია ჯ. ვერდის ოპერა „აიდაში“ და კარმენის პარტია ჟ. ბიზეს ოპერა „კარმენში“.

იმის გამო, რომ დიდმა თეატრმა ვ. დავიდოვა სასწრაფოდ გაიწვია მოსკოვში, გასტროლები გადატანილ იქნა მარტისათვის.

ამავამად ოპერისა და ბალეტის თეატრში წარმატებით გამოდის დიდი თეატრის სოლისტი საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი დ. გამრეკელი.

დ. გამრეკელი გამოვიდა ჯ. ვერდის ოპერა „ტრავიატაში“ (ვერონი), ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისში“ (კიაზო), პ. ჩაიკოვსკის ოპერა „პიკის ქალში“ (ელეცკი). ამ თვის ბოლომდე დ. გამრეკელი მონაწილეობას მიიღებს „დაისში“, „ევგენი ონეგინსა“ და „ტრავიატაში“.

ა. ს. გრიბოედოვის ხსოვნის აღსანიშნავად

15 იანვარს შესრულდა 160 წელი დიდი რუსი მწერლის ა. ს. გრიბოედოვის დაბადებიდან.

ამ დღეს საქართველოს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში, თავი მოიყარეს გრიბოედოვისა და რუსთაველის სახელობის თეატრების მსახიობებმა, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებმა და სხვ.

მსახიობებმა ა. ს. გრიბოედოვის საფლავი შეამკეს ცოცხალი ყვავილების გვირგვინებით.

კოლმეურნეთა დასახმარებლად

ნახევარი წლის წინათ ტაქსის გამოყენების თბილისის ავტოსატრანსპორტო კანტორამ დაწესა სატვირთო ტაქსის მარშრუტები. ავტომანქანების დანიშნულებაა მომსახურება გაუწიონ კოლმეურნეებს.

პირველ ხანებში გამოყოფილი იყო 10-15 მანქანა, რომლებიც ორი-სამი მიმართულებით დადიოდნენ. ამჟამად სამარშრუტო სატვირთო ტაქსის პარკი ერთიორად გაიზარდა. სამარშრუტო ტაქსი ყოველდღიურად დადის გორის, მარნეულის, მცხეთის, ბოლნისის მიმართულებით. მიმდინარე კვარტალში მანქანები იკლიან ახალი მარშრუტებით — დუშეთის, წალკის (თეთრწყაროს გავლით), საგარეჯოს მიმართულებით.

ლიტერატურული სალამო

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება 1955 წლის 17 იანვარს საღამოს 8 საათზე, საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დიდ სალექციო დარბაზში აწყობს ლიტერატურულ სალამოს, მიძღვნილს საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობის შედეგებისადმი.

მოხსენებას თემაზე: „საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობის შედეგები“ წაიკითხავს საზოგადოების წევრი, მეცნიერების კანდიდატი ს. ჭილაია.

ყრილობის დელეგატი მწერლები და პოეტები გამოვლენ თავიანთი შთაბეჭდილებებით ყრილობის მუშაობის შესახებ და წაიკითხავენ ახალ აღწარმოებებს.

ამინდი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 17 და 18 იანვარს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, სანაპირო რაიონებში დროგამოშვებით მცირე ნალექი, დანარჩენ რაიონებში უმეტესად უნალექოდ. ცვალებადი მიმართულების სუსტი ზომიერამდე ქარი. ტემპერატურა დაწლობ რაიონებში ღამით 3-8, დღისით 9-14 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 2 გრადუსი ყინვა — 3 გრადუსი სითბო, დღისით 3-8 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ. ცვალებადი მიმართულების სუსტი ზომიერამდე ქარი. ტემპერატურა დაწლობ რაიონებში ღამით 2 გრადუსი ყინვა — 3 გრადუსი სითბო, დღისით 8-13 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 1-6 გრადუსი ყინვა, დღისით 8-13 გრადუსი სითბო.

გასწორება

„კომუნისტის“ 15 იანვრის ნომერში დაბეჭდილი ამხ. ვ. ესაიაშვილის სტატიის — „სოციალისტური რევოლუციის რაინდი“ — მერვე სვეტის მეორე აბზაცი (ქვემოდან) უნდა იკითხებოდეს: „1917 წლის 19 ივლისს ბაქოს პარტიულმა კონფერენციამ...“ და შემდეგ როგორც ტექსტშია.

რედაქტორი ნ. ჯაში.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

16 იანვარს
დღის 12 საათზე
ა. ბალანჩივაძე—**მთების გული**
საღამოს
ვ. დოლიძე—**ქეთო და კოტე**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ᲓᲦᲔᲡ

თბილისის თეატრებში

რუსთაველის სახელობის — ვასა ეელეზნოვა (დილას), ღალატი (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — უფსკრულთან (დილა-საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — ტურბინთა დღეები (დილას), ასი მილიონი (საღამოს), **სომხური დრამის** — ნათელი დილა (დილას) ვაგიფი (საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — მეგობრები (დილას), **სალხინო-ბელი** (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ანდროს ოცნება (აბონემენტი № 30, 11 ს.), ეს მოხდა მოსკოვში (აბონემენტი № 3, 5 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — მესი მეგობრები (11 ს.), ღალატი (8 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, სპარტაკი, ისანი, პლეხანოვისა და ვორონეშელოვის სახელობის კლუბები — ერთგულების გამოცდა, **ოქტომბერი, დიდუბე, ოფიცერთა სახლი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — შიპკის გმირები, **კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის, კოლხიდა** — ბაიჯუ ბავრა, **კიროვის სახელობის პარკი** — სათადარიგო მოთამაშე. **თბილისი** — ანა კარენინა, **კოლმეურნე** — ორი ბიგხი მიწა, **გორკის სახელობის კლუბი** — ვინც ბოლოს იცინის, **კომუნარების ბაღი** — ნაძალადევი ქორწინება.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო აუწყებს ყველა დაწესებულების, საწარმოსა და ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, რომ 1955 წლისათვის შტატებისა და ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯთაღრიცხვების რეგისტრაცია უნდა მოხდეს დიფერენცირებულ ვადებში, რომლებიც დადგენილია ადგილობრივი საფინანსო ორგანოების მიერ, ხოლო არა უგვიანეს 1955 წლის 1 აპრილისა.

საჭიროა ყველა დაწესებულებამ, საწარმომ და ორგანიზაციამ დროზე მიიღოს თავისი ზემდგომი ორგანიზაციისაგან 1955 წლისათვის დამტკიცებული საშტატო განრიგი და ხარჯთაღრიცხვა და გაატაროს ის შესაბამისი ქალაქის და რაიონის საფინანსო განყოფილებაში.

რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ სახბანკის განყოფილებები ხელფასს გასცემენ მხოლოდ 1955 წლისათვის შტატების რეგისტრაციის ბარათის წარმოდგენისას.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო.

400-დან 100.000 მანეთამდე შეიძლება მოიგოთ სახელმწიფო 3% შინაგანი მოგებიანი სესხის ობლიგაციებით.

1955 წლის 30 იანვარს შედგება სახელმწიფო 3% შინაგანი მოგებიანი სესხის მოგებათა მორიგი 42-ე ტირაჟი.

ამ ტირაჟში სულ გათამაშდება **51.000 მოგება 27.901.200 მანეთის თანხისა, მათ შორის 50.000, 25.000, 10.000, 5.000, 1.000 და 400** მანეთიანი მოგებანი.

100.000 მანეთიანი მოგება გათამაშდება დამატებითს ტირაჟში.

ყოველწლიურად ტარდება სესხის მოგებათა ექვსი ძირითადი ტირაჟი — 30 იანვარს, 30 მარტს, 30 მაისს, 30 ივლისს, 30 სექტემბერს, 30 ნოემბერს და მოგებათა ერთი დამატებითი ტირაჟი 30 სექტემბერს.

სესხის ობლიგაციებს ყიდიან და თავისუფლად ყიდულობენ შემნახველი სალაროები. შეიძინეთ სახელმწიფო 3% შინაგანი მოგებიანი სესხის ობლიგაციები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ

ლომების მომთვინიერებლის
რსფსრ დამსახურებული არტისტის
ᲘᲠᲘᲜᲐ ᲒᲣᲖᲒᲘᲠᲘᲜᲝᲕᲐᲡ
ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲘ
და დიდი საცირკო წარმოდგენა
3 განყოფილებად.
დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

ᲙᲕᲘᲠᲐᲡ, 16 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ
ᲓᲦᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲡᲐᲒᲐᲕᲨᲕᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲓᲒᲔᲜᲐ.

დასაწყისი დღის 12 საათზე და 3 საათზე.
ბილეთები იყიდება სახცირკის სალაროებში. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

ბავშვები 16 წლამდე საღამოს წარმოდგენაზე არ დაიშვებიან.

ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ

ᲒᲘᲠᲘᲨᲐ ᲔᲕᲒᲔᲜᲘᲡ-ᲫᲔ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔᲡ
გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-I სოფ. ურავში (ამბროლაურის რაიონი).

ᲔᲚᲘᲡᲐᲑᲔᲓ ᲝᲜᲘᲡᲘᲛᲔᲡ ᲐᲡᲣᲚ ᲯᲘᲑᲚᲐᲫᲔᲡ
გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-I სოფ. შუხუთში (ლანჩხუთის რაიონი).

ᲞᲔᲢᲠᲔ ᲔᲤᲠᲔᲛᲘᲡ-ᲫᲔ ᲭᲐᲠᲪᲘᲕᲐᲫᲔᲡ
გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-I ქ. ბათუმში. გამოსვენება ბინიდან, ვოროვსკის ქ. № 3.

ᲔᲚᲘᲡᲐᲑᲔᲗᲐ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲐᲡᲣᲚ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲐᲫᲔᲡ
გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-I, სოფ. ყუმურში (ვანის რაიონი).

ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚ ᲝᲡᲘᲡᲑᲘᲡ-ᲫᲔ ᲭᲘᲭᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ
გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-I, 4 ს. ქ. გორში. გამოსვენება ბინიდან, კლარა ცეტკინის ქ. № 3.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲔᲡ-ᲫᲔ ᲭᲝᲮᲝᲜᲔᲚᲘᲫᲔᲡ
გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-I, სოფ. ტბეთში (ამბროლაურის რაიონი).

ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲠᲘᲕᲐᲖ ᲐᲠᲩᲘᲞᲝᲡ-ᲫᲔ ᲬᲣᲚᲐᲫᲔᲛ, მცხოვრებმა ოსელიანის ქ. № 35, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ სონია მაკარის ასულ წულაძესთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლო.

ᲛᲔᲣᲦᲚᲔ ᲛᲐᲠᲒᲐᲚᲘᲢᲐ, ᲫᲛᲐ ᲕᲐᲚᲘᲙᲝ, ᲓᲔᲓᲘᲡ ᲒᲝᲒᲣᲪᲐ, ᲥᲔᲗᲝ ᲝᲯᲐᲮᲔᲑᲘᲗ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲘᲐᲗ
ᲒᲠᲘᲨᲐ ᲔᲕᲒᲔᲜᲘᲡ-ᲫᲔ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔᲡ
გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-I სოფელ ურავში (ამბროლაურის რაიონი).

ᲛᲔᲣᲦᲚᲔ ᲡᲘᲚᲘᲛᲑᲘᲡᲢᲠᲝ ᲝᲯᲐᲮᲘᲗ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲘᲐ
ᲔᲚᲘᲞᲢᲐ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲐᲡᲣᲚ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲐᲫᲔᲡ
გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-I, სოფ. ყუმურში (ვანის რაიონი).

ᲛᲔᲣᲦᲚᲔ ᲔᲔᲜᲘᲐ ᲨᲕᲘᲚᲘᲗᲘᲗ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ
ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲔᲡ-ᲫᲔ ᲭᲝᲮᲝᲜᲔᲚᲘᲫᲔᲡ
გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-I, სოფ. ტბეთში (ამბროლაურის რაიონი).

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეებისა—3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მომხილველი — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-45 კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვებისა—3-81-65, გამომცემლობის დირექტორისა—3-65-41, სტამბის დირექტორისა—3-77-70.

УЕ 01016

ფოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.